სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **2019 წლის 26 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.კაკულია ნაზირა 2. სახვაძე საბა 3. სიამაშვილი ირაკლი 4. ბერაძე თამარი 5. ლაშხი თამარი 6.არჩვაძე ნათელა 7.თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. მუკბანიანი ომარი 10. ჩხაიძე სიმონი 11. ბილისეიშვილი გიორგი 12. მუმლაძე ლაშა 13.ონიანი ლუკა 14. ტაბატაძე გიორგი 15. ივანიძე მაია 16. გარიშვილი მარინა 17. ყალიჩავა კობა 18. კვირიკაშვილი ბახვა 19. ონიანი ირაკლი 20. ჯავახიშვილი არჩილი 21.მარგველაშვილი ვლადიმერი 22. ქიტუაშვილი თინა 23. უმფრიანი ლერი 24. ჩართოლანი ანა 25. გოგსაძე გიორგი 26. დუნდუა სალომე 27. ჭალაგანიძე ნინო 28. ბებერაშვილი ელენე 29. გაბაშვილი ალექსანდრე 30. ჩიტაია დაჩი 31. ჟვანია ირინე 32. ჩახუნაშვილი ნინო 33. ცანავა ქეთევანი 34. თოფურია სალომე 35.ლორია კახაბერი 36. ზაქარიაძე ანასტასია 37. ბახტაძე მიხეილი 38. რუსეიშვილი მანანა 39.ოთხმეზური გიორგი 40. ვარდოშვილი ეკა 41. თვალაძე მარიამი 42. კეჟერაშვილი შოთა 43. ხუციშვილი დინა 44. ჯაგუნავა პავლიკა 45. გაიპარაშვილი ზურაბი 46. ღარიბაშვილი ირაკლი 47. სუმბაძე ციური 48. გვანცელაძე გვანცა 49. ცქიტიშვილი თემური 50. ახალბედაშვილი ლალი 51. კაკულია ეთერი 52. ხუციშვილი მარინე 53. ნემსაძე ადა 54. რუხაია მიხეილი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ავაზაშვილი ნიკოლოზი 2. ამირანაშვილი ავთანდილი 3. გამყრელიძე ერეკლე 4. გონაშვილი ვასილი 5. გოცირიძე დავითი 6. ზაუტაშვილი მარინე 7. იმნაძე პაატა 8. კერესელიძე დავითი 9. კვინიკაძე მურმანი 10. კუხიანიძე ალექსანდრე 11. ლობჟანიძე გია 12. მექვაბიშვილი ელგუჯა 13. ოკრიბელაშვილი ნინო 14. სანაძე რუსუდანი 15. სილაგაძე ავთანდილი 16. ფერაძე გოჩა 17. ფურთუხია ომარი 18. ქიტიაშვილი ანასტასია 19. ქურდაძე რამაზი 20. ყარალაშვილი თამაზი 21. შავლაყაძე ნუგზარი 22. შანიძე რევაზი 23. შენგელია თემური 24. ცაგარელი ზურაბი 25. ცინცაძე ნოდარი 26. წერეთელი მარი 27. ხარშილაძე ირმა 28. ხუსკივაძე მამუკა (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ალექსანდრე ცისკარიძე)

2. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული

საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №27/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ალექსანდრე ცისკარიძე)

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის ანგარიშის მოსმენა (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე)

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ფართის იჯარით გაცემაზე თანხმობის შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული ფართის იჯარით გაცემაზე თანხმობის შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ნუნუ ოვსიანიკოვა)

დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად.

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. აღინშნა, რომ ცენტრის ძირითადი მიზანია მუშაობა ინტერდისციპლინურ, მოკლე და გრძელვადიან, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტებზე, რომლებიც ფოკუსირებული იქნებიან აქტუალური პრობლემების სხვადასხვა კუთხით გაშუქებაზე; საქართველოს ადგილის გამოკვეთა ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში; მისი წარმოჩენა გლობალური სამყაროს ნაწილად და, ამავე დროს, მისი თვითმყოფადობის წინა პლანზე გამოტანა; საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესის აქტუალიზება საქართველოს, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის უძველესი და მნიშვნელოვანი ნაწილისადმი, მისი როლისადმი ამ ისტორიულ ერთობაში; უნივერსიტეტის ქცევა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ცენტრად, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ისეთ დარგებში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მეცნიერებს, როგორებიცაა: ქართველოლოგია, ბიზანტინისტიკა, არმენოლოგია, ებრაისტიკა, არამეისტიკა, ასირიოლოგია, მედიევისტიკა და მის სფეროში შემავალი დარგები: ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია, ისტორია, მუსიკათმცოდნეობა, სოციოლოგია, სამართალმცოდნეობა, პოლიტოლოგია, მედიცინა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისტორია.

სენატის წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები ცენტრის დაფინანსების წყაროსა და მმართვის ორგანოებთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ცენტრის მართვის ორგანოებია ცენტრის საბჭო და ცენტრის დირექტორი, ხოლო დაფინანსების წყარო ძირითადად არის გრანტით მიღებული შემოსავლები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №243/2018 დადგენილება. (დანართი 3)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე ცისკარიძემ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №27/2019 დადგენილება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. აღინიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი (ჰაბი) (Academia Europea Tbilisi Regional Knowledge Hub) იქმნება დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული საქველმოქმედო, არასამთავრობო ქსელური ორგანიზაციის - ევროპული აკადემიისა (Academia Europea) და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი მხარდაჭერით. მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი იზიარებს მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ხედვას, რომ საზოგადოებისთვის სარგებლიანობის უზრუნველყოფისა და განათლებისა და მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობის გაზრდის მიზნით მეცნიერების ყველა დარგში განავითაროს და განავრცოს სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური ცოდნის უმაღლესი ხარისხის სტანდარტები. მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი საზოგადოებისათვის წარმოადგენს პანევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს და ხელს უწყობს მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული მიღწევების გამოყენებას ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისათვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისათვის.
მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი ცენტრი არსებობს სულ ხუთი და არაევროპულ სივრცეში ეს არის პირველი მნიშვნელოვანი პრეცენდენტი.
სენატის სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა, ასევე ხაზი გაუსვა აღნიშნული ცენტრის მნიშვნელობას როგორც ქვეყნისთვის, ასევე უნივესიტეტისთვის და გამოთქვა იმედი, რომ ცენტრის საქმიანობა ძალზე წარმატებული იქნება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №27/2019 დადგენილება. (დანართი №4)

3. რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, მზექალა აჭაიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო აკადემიური საბჭოს 2018 წლის ანგარიში. აღნიშნა, რომ 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 28 სხდომა, მიღებულ იქნა 247დადგენილება და 2 განცხადება, წარმომადგენლობითი საბჭოსათვის გაგზავნილ იქნა 65 წარდგინება. 2018 წელს, თსუ აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით, გამოცხადდა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები. 2018 წელს ასევე დაინიშნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნები და განისაზღვრა საბჭოს წევრთა რაოდენობა. 2018 წელს უნივერსიტეტმა დიდი პროცესი გაიარა ავტორიზაციის მისაღებად, რისთვისაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში კოლოსალური სამუშაო გასწია. ამას ასევე მოწმობს აკადემიური საბჭოს დადგენილებების თითქმის გაორმაგებული რაოდენობა, წინა წელთან შედარებით. აღნიშნული პროცესისათვის განახლდა/დაიხვეწა აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული მრავალი დოკუმენტი, ასევე შეიქმნა ახალი დოკუმენტები ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად. (დანართი 5)

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ, საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ფართის იჯარით გაცემის საკითხი,

კერძოდ, თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სასწავლო შენობის (ქ. თბილისი, ზანდუკელის N16) პირველ სართულზე 2 (ორი) მ 2 ფართის, 5 წლის ვადით, ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით გაცემის საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ფართის იჯარით გაცემაზე. (დანართი 6)

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ, საბჭოს წინაშე წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N14-ში მდებარე, თსუ-ს მე-4 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 29,55 მ 2 ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი.

აღინიშნა, რომ უნივერსიტეტსა და შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“-ს შორის არსებობს იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოიჯარეს დროებით სარგებლობაში, 5 წლის ვადით აქვს გადაცემული თსუ-ს მე-4 სასწავლო კორპუსში არსებული 29,55 მ 2 ფართი, მოქმედების ვადა ეწურება მიმდინარე წლის 10 აგვისტოს და ითხოვენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნულ საკითხზე კომისიამ ერთხმად დაადგინა: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N14-ში მდებარე, თსუ-ს მე-4 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 29,55 მ 2 ფართის იჯარის ფორმით გაცემასთან დაკავშირებით (შემდეგი მიზნით: ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობა, მასწავლებლებისა და მოსწავლეების თანამედროვე და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროექტების უზრუნველყოფა) გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს. ამდენად, სენატის თანხმობის შემთხვევაში საკითხს მიეცემა შემდგომი სამართლებრივი მსვლელობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული ფართის იჯარით გაცემაზე. (დანართი 7)

6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2018 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავდა ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა: სამეცნიერო და საგანამანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, რესურსების მართვა, საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა, კულტურისა და სპორტის სფერო. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მოქმედებს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით და მისი ძირითადი ფუნქციებიც უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ისეთი ამოცანების უზრუნველყოფა იყო, როგორიცაა საგანმანათლებლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, ინფრასტრუქტურის სრულყოფა, ინსტიტუციური განვითარება და სტუდენტური ცხოვრება. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა 2018 წელს ეკონომიკური შემოსავლებიდან ძირითადი კატეგორიების მიხედვით გაწერილ ხარჯებზე, როგორიცაა ბიუჯეტის შევსების ახალი ალტერნატიული წყაროების მოზიდვა და შიდა საუნივერსიტეტო რესურსების ამოქმედება. ასევე შეეხო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად განხორციელებულ შემდეგ აქტივობებს: ა) ორგანიზაციული მართვის სისტემის უზრუნველყოფა, ბ) ინფრასტრუქტურის განვითარება, გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, დ) სტუდენტური ცხოვრება, ე) საიმიჯო აქტივობები ვ) სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა დ) საგანმანათლებლო საქმიანობა.

კანცლერის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დაწყებული აქტივობების შესახებ.

საკითხის ირგვლის გაიმართა დისკუსია. დებატებში მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თავისი პოზიცია წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოხატეს და მომხსენებლს შეკითხებით მიმართეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ალექსანდრე გაბაშვილმა, თამარ ლაშხმა, ბახვა კვირიკაშვილმა, დაჩი ჩიტაიამ, მიხეილ რუხაიამ, ლუკა ონიანმა, არჩილ ჯავახიშვილმა, შოთა კეჟერაშვილმა, ნაზირა კაკულიამ, ბეჟან თუთბერიძემ, კახაბერ ლორიამ. შეკითხვები ძირითადად შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: უნივერსიტეტის ფინანსების მართვა, დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია, საუნივერსიტეტო დისციპლინა, მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია,

ჯანმრთელობის დაზღვევა, ინფორმაციის სათანადოდ გაშუქება და ხელმისაწვდომობა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ თემები. ადმინისტრაციის მხრიდან კანცლერთან ერთად შეკითხვებს პასუხობდნენ და დისკუსიაში მონაწილობდნენ შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი შოთა ჭანტურიძე, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა მამაგულიშვილი.

დისკუსიის შემდგომ კანცლერმა გამოხატა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის მზაობა, დასმული პრობლემატური საკითხების დეტალურად განხილვისა და მისი გადაწყვეტის გზების დასახვის მიზნით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა დისკუსიის დასასრულს მადლობა გადაუხადა კანცლერს წარმოდგენილი ანგარიშისთვის და აღნიშნა, რომ მსგავსი დებატები, დისკუსია აუცილებელი და საჭიროა. მან მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილე ყველა პირს, გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებებისათვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიში (დანართი 8)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ჩაკვეტაძე

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2019 წლის 26 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი -

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

სახვაძე საბა -

სიამაშვილი ირაკლი -

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ჯაფოშვილი გიორგი -

ლაშხი თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

ჩხაიძე სიმონი -

სტუდენტები

ბილისეიშვილი გიორგი -

მუმლაძე ლაშა -

ონიანი ლუკა -

ტაბატაძე გიორგი -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

გარიშვილი მარინა -

ყალიჩავა კობა -

სტუდენტები:

კვირიკაშვილი ბახვა -

ონიანი ირაკლი -

თურმანიძე ლუკა -

ჯავახიშვილი არჩილი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა

ხოდელი ნოდარი -

ჩხაიძე ზურაბი -

სტუდენტები:

უმფრიანი ლერი -

ჩართოლანი ანა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

დუნდუა სალომე -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დაჩი -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ქვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტები

ცანავა ქეთევანი -

თოფურია სალომე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

ბჟალავა ელისაბედი -

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

სტუდენტები

თვალაძე მარიამი -

ცოფურიშვილი ნიკოლოზი -

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

ჯაგუნავა პავლიკა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

წაქაძე სევერიანი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2019 წლის 26 მარტი

- გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
- ავაზაშვილი ნიკოლოზ
- ამირანაშვილი ავთანდილ
- ანანიაშვილი ნათელა
- გამყრელიძე ერეკლე
- გონაშვილი ვასილ
- გოცირიძე დავით
- ვაშაკიძე თამარი
- ზაუტაშვილი მარინე
- იმნაძე პაატა
- კერესელიძე დავით
- კვინიკაძე მურმან
- კუხიანიძე ალექსანდრე
- ლობჟანიძე გია
- ლომიძე გაგა
- მაისაშვილი ხათუნა

- მესტვირიშვილი მაია
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- ოკრიბელაშვილი ნინო
- სანაძე რუსუდან
- სილაგაძე ავთანდილ
- ფერაძე გოჩა
- ფურთუხია ომარ
- ქიტიაშვილი ანასტასია
- ქურდაძე ირინე
- ქურდაძე რამაზ
- ღვედაშვილი გიორგი
- ყარალაშვილი თამაზ
- ყულიჯანიშვილი აკაკი
- შავლაყაძე ნუგზარ
- შანიძე რევაზი
- შენგელია თემური
- ცაგარელი ზურაბ
- ცინცაძე ნოდარ
- წერეთელი მარი
- ხარშილაძე ირმა
- ხუსკივაძე მამუკა

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1
დანართი 3

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 243/2018 27 ნოემბერი 2018 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" და „ღ" ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" და „წ" ქვეპუნქტების, 2018 წლის 25 დეკემბრის №27193/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №28 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.
2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრს აქვს ბლანკი უნივერსიტეტის გერბის გამოსახულებით, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის ხელმძღვანელის (შემდგომში - ,,დირექტორი”) მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
4. ცენტრის ყოველწლიური საქმიანობის შედეგები კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ წერილობით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და უფლებამოსილება

1. ცენტრის ძირითადი მიზნებია:

ა) მუშაობა ინტერდისციპლინურ, მოკლე და გრძელვადიან, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტებზე, რომლებიც ფოკუსირებული იქნებიან აქტუალური პრობლემების სხვადასხვა კუთხით გაშუქებაზე; საქართველოს ადგილის გამოკვეთა ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში; მისი წარმოჩენა გლობალური სამყაროს ნაწილად და, ამავე დროს, მისი თვითმყოფადობის წინა პლანზე გამოტანა;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესის აქტუალიზება საქართველოს, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის უძველესი და მნიშვნელოვანი ნაწილისადმი, მისი როლისადმი ამ ისტორიულ ერთობაში;

გ) უნივერსიტეტის ქცევა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ცენტრად, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ისეთ დარგებში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მეცნიერებს, როგორებიცაა: ქართველოლოგია, ბიზანტინისტიკა, არმენოლოგია, ებრაისტიკა, არამეისტიკა, ასირიოლოგია, მედიევისტიკა და მის სფეროში შემავალი დარგები: ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია, ისტორია, მუსიკათმცოდნეობა, სოციოლოგია, სამართალმცოდნეობა, პოლიტოლოგია, მედიცინა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისტორია;

დ) სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესება ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევებით და მათი აქტიური ჩაბმა ცენტრის მუშაობაში, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების უწყვეტობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის მართვის ორგანოებია ცენტრის საბჭო და ცენტრის დირექტორი. ცენტრისათვის ასევე გათვალისწინებულია კოორდინატორის თანამდებობა.
2. ცენტრის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრით. ცენტრის საბჭოს შემადგენლობას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს კვლევით პროექტებს;

გ) განიხილავს და აფასებს გაწეულ სამუშაოს;

დ) საბჭო იკრიბება რეგულარულად დირექტორის მოწვევით.

4. ცენტრს ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება და ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ირჩევს ცენტრის საბჭო და ამტკიცებს რექტორი 3 წლის ვადით.
5. ცენტრის დირექტორი აირჩევა ცენტრის საბჭოს სხდომაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. დირექტორის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება აქვს ცენტრის საბჭოს წევრსა და უნივერსიტეტის რექტორს.
6. ცენტრის დირექტორი:

ა) ზედამხედველობას უწევს ცენტრის საქმიანობას;

ბ) კოორდინაციას უწევს ცენტრში გაერთიანებულ სამეცნიერო პროექტებს;

გ) ახორციელებს ცენტრის კავშირებს უნივერსიტეტის გარეთ - როგორც ადგილობრივ სამეცნიერო ინსტიტუციებთან, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან;

დ) მოიზიდავს კადრებს;

ე) დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ცენტრის საბჭოს წინაშე, რა მიზნითაც მათ წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

7. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს კოორდინატორი.
8. კოორდინატორი:

ა) კოორდინატორი უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;

ბ) კოორდინირებას უწევს ცენტრისა და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების თანამშრომლობას;

გ) კოორდინირებას უწევს ცენტრის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობას;

დ) კოორდინირებას უწევს ცენტრსა და სხვადასხვა ფონდებთან ურთიერთობებს;

ე) ქმნის ცენტრის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციულ ბაზას.

მუხლი 4. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრს უნივერსიტეტის მიერ განკარგულებაში გადაეცემა შესაბამისი უძრავი და მოძრავი ქონება.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
ბ) შემოწირულობები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
3. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრის ამ დებულებით განსაზღვრულ მიზნებს.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. იმ შემთხვევაში თუ ცენტრი მისი შექმნიდან 3 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მოპოვებას იგი ჩაითვლება ავტომატურად ლიკვიდირებულად.
2. ცენტრის პირველი დირექტორი ინიშნება რექტორის მიერ, დირექტორის წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით დამტკიცებამდე.
3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა ცენტრის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სხვა შემთხვევები და პროცედურა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1
დანართი 4

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 27/2019 4 მარტი 2019 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტების, თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის პირველი მარტის №3633/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი (ჰაბი).
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი)“ დებულება

პრეამბულა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი (ჰაბი) (Academia Europea Tbilisi Regional Knowledge Hub) იქმნება დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული საქველმოქმედო, არასამთავრობო ქსელური ორგანიზაციის - ევროპული აკადემიისა (Academia Europea) და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი მხარდაჭერით.

მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი იზიარებს მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ხედვას, რომ საზოგადოებისთვის სარგებლიანობის უზრუნველყოფისა და განათლებისა და მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობის გაზრდის მიზნით მეცნიერების ყველა დარგში განავითაროს და განავრცოს სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური ცოდნის უმაღლესი ხარისხის სტანდარტები.

მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი საზოგადოებისათვის წარმოადგენს პანევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს და ხელს უწყობს მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული მიღწევების გამოყენებას ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისათვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისათვის.

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი/თსუ) დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის (ჰაბი) (შემდგომში - ცენტრი) სტატუსს, საქმიანობის მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვისა და საქმიანობის წესებს.

მუხლი 2. ცენტრის სტატუსი

1. ცენტრი შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბერის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ (შემდგომში - უნივერსიტეტის წესდება) საფუძველზე და წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.
2. ცენტრი მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის რეგიონული ჰაბების ქსელის ერთ-ერთი (მეხუთე) წევრია, იზიარებს მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს და განავრცობს აკადემიის ქსელის საქმიანობას რეგიონში ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს: სამხრეთ კავკასიას, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, ცენტრალურ და დასავლეთ აზიას (შემდგომში - რეგიონი).

3. ცენტრი საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების, უნივერსიტეტის წესდების, შესაბამისი შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ცენტრის მისია, მიზნები და ღირებულებები

1. ცენტრის მისიაა მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ღირებულებებისა და პანევროპული ინტერესების დაცვით რეგიონში უზრუნველყოს მეცნიერული ცოდნის გენერირების, გავრცელების, პოპულარიზაციის ევროპული სტანდარტებისა და მექანიზმების გაზიარება, წაახალისოს მეცნიერების კავშირი ეფექტური საჯარო პოლიტიკის წარმოებასთან და გაზარდოს მეცნიერების მნიშვნელობა და სარგებლიანობა ფართო საზოგადოებისათვის. ცენტრის თემატურ სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრება რეგიონში „მრავალფეროვნების“ სიღრმისეული და ინტერდისციპლინური კვლევის წახალისება და პოპულარიზაცია.

2. ცენტრის მისიის მისაღწევად განისაზღვრება შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

ა) აკადემიურ და ფართო საზოგადოებაში პანევროპული მეცნიერებისა და კვლევის ღირებულების აღიარებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო სააგენტოებისთვის რეგიონში მიმდინარე მეცნიერების, განათლებისა და აკადემიური თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით, პრიორიტეტული თემის გარშემო, რეკომენდაციების შემუშავება;

გ) მეცნიერების ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი - პანევროპულ საკითხებთან მიმართებაში ინტერდისციპლინური და საერთაშორისო, ასევე ინტერსექტორული თანამშრომლობის წახალისება;

დ) რეგიონთან მიმართებით მეცნიერებასა და კვლევაში ტრანსევროპული მნიშვნელობის საკითხების განსაზღვრა და მათი სამეცნიერო შესწავლისა და გამოკვლევისათვის შესაბამისი აქტივობების ინიცირების მხარდაჭერა.

3. ცენტრი იზიარებს პანევროპული მეცნიერებათა აკადემიის ღირებულებებს და ხელს უწყობს უმაღლესი სტანდარტების აღიარებასა და დამკვიდრებას მეცნიერებაში, კვლევასა და განათლებაში, ხაზს უსვამს ცოდნის, შემეცნების, სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობას პოლიტიკის წარმოებისათვის, მათ სარგებლიანობას საზოგადოების კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოებისა და რეგიონის პროგრესული განვითარებისათვის.

4. ცენტრს აქვს მთავარი მიზანი და ქვემიზნები:

ა) ცენტრის მთავარი მიზანია პანევროპული მეცნიერებათა აკადემიის ღირებულებების გაზიარებით შექმნას პლატფორმა მულტიდისციპლინური, ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური თანამშრომლობისა და ექსპერტიზის განვითარებისათვის და აქცენტი გააკეთოს რეგიონში „მრავალფეროვნების“ კონცეპტების შესწავლაზე, ცოდნის გაზიარებასა და პოპულარიზაციაზე;

ბ) ცენტრის ქვემიზნებია:

ბ.ა) ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, ცენტრალურ და დასავლეთ აზიის სახელმწიფოების ბიოლოგიური, ბიოკულტურული, კულტურული, ლინგვისტური, ეკოლოგიური და სხვა ტიპის მრავალფეროვნების საკითხების სამეცნიერო კვლევას, შემეცნებასა და ცოდნის გაზიარებას;

ბ.ბ) ხელი შეუწყოს რეგიონის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში პანევროპული თანამშრომლობის გაძლიერებას, ახალი ერთობლივი ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებას;

ბ.გ) ხელი შეუწყოს მეცნიერებათა პანევროპულ აკადემიაში და ევროპის ახალგაზრდულ აკადემიაში რეგიონის წარმატებულ და გამორჩეულად ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვასა და ინტეგრირებას;
ბ.დ) რეგიონის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემასა და ფართო საზოგადოებაში წაახალისოს პანევროპული მეცნიერებათა აკადემიის ღირებულებებისა და სტანდარტების აღიარება, დამკვიდრება და პოპულარიზაცია;
ბ.ე) წაახალისოს რეგიონის საუკეთესო ხარისხის სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და ცოდნის გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის და გრძელვადიან პერსპექტივაში - ფართო საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

მუხლი 4. ცენტრის საქმიანობა

1. ცენტრის საქმიანობა მოიცავს მეცნიერების ყველა დარგში გამორჩეული ხარისხის, ევროპაში აღიარებული სტანდარტების პოპულარიზაციას და გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:
ა) რეგიონის უნიკალური „მრავალფეროვნების“ სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს ინტერდისციპლინური, ინტერსექტორული და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის გზით;
ბ) რეგიონში არსებული უმაღლესი ხარისხის კვლევების პოპულარიზაციას ევროპასა და მსოფლიოში;
გ) სამეცნიერო და აკადემიურ მოღვაწეობაში თანამშრომლობის გაღრმავებას ერთი მხრივ რეგიონსა და ევროპის მოწინავე მეცნიერებს შორის, ხოლო მეორე მხრივ - დისციპლინებსა და აკადემიურ და არასამეცნიერო სექტორებს შორის.
2. ცენტრის ექსპერტიზა მოიცავს შემდეგ სფეროებს:
ა) ადრეულ ადამიანთა განსახლების პალეოეკოლოგიური სცენარები/განვითარება;
ბ) რეგიონში ადამიანთა მიგრაციის სივრცითი და კულტურული კომპონენტების რეკონსტრუირება;
გ) რეგიონის ბიოგეოგრაფიის დინამიკა, ფაუნისა და ფლორის ცვლა;
დ) რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციური ტექნოლოგიური შესწავლა;
ე) მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია;
ვ) ეთნიკური ჯგუფების ფსიქოლოგია და ეთნიკური ურთიერთობების სოციოლოგია;
ზ) რეგიონის ისტორიულ-კულტურული მონაცემები/ბაზები და ლინგვისტური მრავალფეროვნება;
თ) მიკროორგანიზმების და მათი ვირუსების ბიომრავალფეროვნება; გარემოს და სამედიცინო მიკრობიოლოგია;
ი) ბაქტერიოფაგები როგორც ანტიმიკრობული აგენტები, ფაგოთერაპია.
3. ცენრის ფუნქციებია:
ა) მეცნიერებათა პანევროპულ აკადემიაში და ევროპის ახალგაზრდულ აკადემიაში რეგიონის გამორჩეულ მეცნიერთა გაწევრიანების მხარდაჭერა და თანამშრომლური ინიციატივების წახალისება;
ბ) ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარების მხარდამჭერი აქტივობების ინიცირება და განხორციელება, რაც მოიცავს საერთაშორისო კონფერენციების, საზაფხულო სკოლების, საჯარო ლექციებისა და სემინარების, მაღალი დონის საექსპერტო პანელების ორგანიზებას;
გ) მრავალფეროვნების კონცეფციებთან მიმართებაში ექსპერტიზის სფეროებში რეგიონული საექსპერტო ბაზების შექმნის ხელშეწყობა და პანევროპული თანამშრომლობის შესაძლებლობების განვითარების სტრუქტურული პროექტების შემუშავება;

დ) რეგიონში „მრავალფეროვნების“ კონცეფციების კვლევასთან მიმართებით ფონდების მოძიებისა და აკადემიური და არასამეცნიერო სექტორების ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა;
ე) საქართველოს და რეგიონის წამყვანი კვლევითი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ასევე საგანმანათლებლო ცენტრების კავშირების სტიმულირება პანევროპული მეცნიერებათა აკადემიის მთლიან ქსელთან და რეგიონულ ცენტრებთან.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის სტრუქტურა ითვალისწინებს: სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში „საბჭო“), აკადემიურ დირექტორს, აღმასრულებელ დირექტორს (მენეჯერი), მთავარ სპეციალისტსა და სპეციალისტს.
2. ცენტრი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარების ქვეშ და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან.

მუხლი 6. სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო

1. ცენტრს ჰყავს სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო), რომლის შემადგენლობასაც 4 წლის ვადითა და როტაციის შესაძლებლობის პრინციპით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ პანევროპული მეცნიერებათა აკადემიის წევრები (MAE) ან ასოცირებული წევრები, ასევე რეგიონში აღიარებული, გამოჩენილი მოწვეული მეცნიერები.
2. საბჭო განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, მათ შორის, ცენტრის პრიორიტეტებს, სტრატეგიასა და ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს.
3. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე), რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამავე საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
4. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
5. თავმჯდომარე იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომას. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთაგან საბჭო ირჩევს სხდომის მდივანს.
6. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
7. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში.
8. საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამართოს და საკითხები განიხილოს დისტანციური ელექტრონული ფორმატით შემდეგ შემთხვევებში:
ა) თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით.
9. საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით ჩატარების შემთხვევაში:

ა) სხდომის დღის წესრიგის, თარიღის/დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ საინფორმაციო მასალები წინასწარ ეგზავნებათ საბჭოს წევრებს მათ ელექტრონულ ფოსტაზე, გაცნობის მიზნით;
ბ) საბჭოს წევრები ინტერნეტის („სკაიპის“ ან სხვა საკომუნიკაციო აპლიკაციის) საშუალებით, ერთდროული წვდომით მონაწილეობენ სხდომაში;
გ) სხდომის ოქმის პროექტი ეგზავნება მონაწილე საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით;
დ) იმ შემთხვევაში, თუ დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართული საბჭოს მონაწილე რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში;
ე) საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართვის შემდგომ საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 7. აკადემიური დირექტორი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის აკადემიური დირექტორი, მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის წევრი (MAE), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. აკადემიური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს, რექტორის ბრძანებით განსაზღვრული, საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
3. აკადემიური დირექტორი:
ა) ცენტრის საბჭოსთან კოორდინირებით განსაზღვრავს ცენტრის სტრატეგიას, ხედვას, პრიორიტეტულ თემებსა და ძირითად მიმართულებებს;
ბ) უზრუნველყოფს ცენტრის ხედვის, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შეთანხმებას პანევროპული აკადემიის მმართველობასთან, რეგიონულ ცენტრებთან და უნივერსიტეტის რექტორთან;
გ) ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესაბამისად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების ფორმირებას, პანევროპული აკადემიის ცენტრალურ მმართველობასთან და უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებას;
დ) უზრუნველყოფს პანევროპული აკადემიის რეგიონულ ცენტრებთან თანამშრომლობით რეგიონში პარტნიორების ქსელის გაფართოებასა და მათთან ეფექტური კოლაბორაციის წარმოებას;
ე) იწვევს საბჭოს სხდომებს და მონაწილეობს ცენტრის მისიის განხორციელებისათვის საჭირო ახალი ინიციატივების ფორმირებასა და დაგეგმვაში;
ვ) ცენტრის აღმასრულებელ მენეჯერთან თანამშრომლობით ამზადებს და წარუდგენს ცენტრის 6 თვიან ანგარიშს (წელიწადში ორ ანგარიშს) პანევროპული აკადემიის მმართველობას, რეგიონულ ცენტრებს, ასევე პანევროპული აკადემიის საქმიანობის ყოველწლიურ შემაჯამებელ ფორუმს, ცენტრის საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 8. აღმასრულებელი დირექტორი (მენეჯერი)

1. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი (მენეჯერი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. აღმასრულებელი დირექტორი (მენეჯერი):
ა) ახორციელებს ცენტრის სტრატეგიისა და ხედვის შემუშავებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს, ასრულებს ცენტრის საბჭოს მიერ მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების

შესაბამის აქტივობებს, უზრუნველყოფს სამუშაოს მოსამზადებელ ნაწილს ცენტრის დირექტორთან და საბჭოსთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში საკითხების შეთანხმებულ კორექტირებას, უნივერსიტეტის რექტორთან ძირითადი ხედვისა და მიზნების კოორდინირებას;
ბ) ამზადებს და დირექტორს, უნივერსიტეტის რექტორსა და ცენტრის საბჭოს წარუდგენს სტრატეგიის შესაბამისად შემუშავებულ დეტალურ სამოქმედო გეგმებსა და მათი განხორციელების გზებს;
გ) უზრუნველყოფს ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვას, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის მართებულად განსაზღვრას და ათანხმებს ცენტრის საბჭოსთან, უნივერსიტეტის რექტორთან, ცენტრის დირექტორთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
დ) ადმინისტრირებას უწევს საბჭოსა და დირექტორთან შეთანხმებულ სამოქმედო გეგმის განხორციელებას, შესაბამისი აქტივობების ორგანიზებას;
ე) წარმართავს ცენტრის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, შეფასებასა და ანალიზს;
ვ) უზრუნველყოფს ცენტრის წინაშე წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, დირექტორის, უნივერსიტეტის რექტორის, ცენტრის საბჭოს ინფორმირებასა და ეფექტური გადაწყვეტის გზების შემუშავებასა და აღმოფხვრას;
ზ) დირექტორთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს პარტნიორების ქსელის გაფართოებასა და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას;
თ) ადმინისტრირებას უწევს ცენტრისთვის საინტერესო დაფინანსების წყაროების გამოვლენისა და ფონდების მოძიებისთვის საჭირო აქტივობებს;
ი) უზრუნველყოფს მოძიებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად გახარჯვის ადმინისტრირებას;
კ) დირექტორთან თანამშრომლობით ამზადებს და წარუდგენს ანგარიშს 6 თვეში ერთხელ ცენტრის საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორს, პანევროპული აკადემიის მმართველობას და რეგიონულ ცენტრებს. ასევე ამზადებს ყოველწლიურ შემაჯამებელ ანგარიშს პანევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრების შეხვედრაზე განსახილველად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ლ) ხელს უწყობს ცენტრის ვებგვერდის მომზადებისათვის საჭირო აქტივობების ადმინისტრირებას;
მ) ახორციელებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.
3. ცენტრის სხვა თანამშრომლებს - მთავარი სპეციალისტი/სპეციალისტი, აღმასრულებელი დირექტორის (მენეჯერი) წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 9. ცენტრის ქონება
მოამზადა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ვადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის, სსსმ აპლიკანტებისათვის საგამოცდო კომისიის შექმნის, სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის, სსსმ აპლიკანტებისა და პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტები. დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის N150/2018 დადგენილების შედგენასა და ექსპერტიზაში. ასევე, მონაწილეობდა სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ორგაზებულ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამასა და თსუ-ს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური ადმინისტრირების მიზნით შექმნილ კომისიის ჯგუფში.

საგანმანათლებლო დოკუმენტაციის იდენტიფიცირებისა და აღიარება/დადასტურების მიზნით დეპარტამენტი თანამშრომლობდა უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან/საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაციონალურ ცენტრებთან და სხვ. ასევე, საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით, თანამშრომლობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურასთან. დაამუშავა სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები და მიაწოდა როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ არასამთავრობო დაწესებულებებს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გადაუგზავნა ყოველწლიური სტატისტიკური გამოკვლევის შევსებული ელექტრონული კითხვარები - „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ“ და „მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ“.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებულ გამოცდებზე დარეგისტრირებული იყო 74 255 სტუდენტი. გამოცდაზე გამოცხადდა 54 182 სტუდენტი (72,99%), არ გამოცხადდა 12 223 სტუდენტი (16,46%), არ ჰქონდა გამოდაზე გასვლის უფლება 7818 სტუდენტს (10,53%), ჩაიჭრა 8992 სტუდენტი (16,59%), მათ შორის შეფასება ,,0'' მიიღო 2065-მა სტუდენტმა, ანუ ჩაჭრილთა 22,96%-მა, დადებითი შეფასება მიიღო 45 108 სტუდენტმა (83,25%), მათ შორის უმაღლესი შეფასება - 7255 სტუდენტმა, ანუ დადებითი შეფასების მქონე სტუდენტთა 16,08%-მა. აპელაციაზე გაიგზავნა 3 960 სტუდენტის ნაშრომი (7,3%), აპელაციის შედეგად გადასწორდა 2 092 სტუდენტის ნაშრომი (52,82%).

საგამოცდო ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოცდები შემდეგ სურათს იძლევა, კერძოდ,

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	102	7407
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	35	2959
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	63	6600
იურიდიული	91	16474
ეკონომიკისა და ბიზნესის	56	11776
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	1523
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	137	11317
მედიცინა	23	984
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (კომპ)	6	504
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	22	5788
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	11	1786
სულ	564	67118

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	24	1592
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	19	1685
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	53	5077
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	4	652
მედიცინა	6	222
სულ	106	9228

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	107	7797
იურიდიული	96	16653
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	35	2928
ეკონომიკისა და ბიზნესის	56	11776
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	422	16470
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	1523
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	138	11421
მედიცინა	46	2711
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	11	1786
იურიდიული (მაგ)	10	383
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (კომპ)	6	504
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	11	1786
სულ	956	75738

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებულ გამოცდებზე დარეგისტრირებული იყო 69 131 სტუდენტი. გამოცდაზე გამოცხადდა 51698 სტუდენტი (74,78%), არ გამოცხადდა 11 107 სტუდენტი (16,06%), არ ჰქონდა გამოდაზე გასვლის უფლება 6278 სტუდენტს (9,08%), ჩაიჭრა 7496 სტუდენტი (14,49%), მათ შორის, შეფასება ,,0'' მიიღო 1897 სტუდენტმა, ანუ ჩაჭრილთა 25,3%-მა, დადებითი შეფასება მიიღო 44 202 სტუდენტმა (85,5%), მათ შორის, უმაღლესი შეფასება მიიღო 8 064 სტუდენტმა, ანუ დადებითი შეფასების მქონე სტუდენტთა 18,24%-მა. აპელაციაზე გაიგზავნა 3 463 სტუდენტის ნაშრომი (6,69%), აპელაციის შედეგად გადასწორდა 1 989 სტუდენტის ნაშრომი (57,43%).

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	153	9737
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	69	53937
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	82	5940
ეკონომიკისა და ბიზნესის	68	12541
იურიდიული	114	16287
მედიცინა	25	1034
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	35	2639
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	20	1415
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (კომპ)	3	199
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	17	4790

ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	2	108
სულ	2836	1454

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის II შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	**51**	**4168**
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	**21**	**1689**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	**18**	**1206**
სულ	90	7063

2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	განცხადების რაოდენობა	ჩარიცხული დოქტორანტთა რაოდენობა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	424	14002
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	34	2727
იურიდიული	104	15900
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	89	6543
ეკონომიკისა და ბიზნესის	68	12541
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	20	1415
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	151	9647
მედიცინა	47	3429
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (კომპ)	3	199
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	17	4790
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	2	108
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ; კომპ)	1	100
იურიდიული (მაგ)	19	444
სულ	979	71842

უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა და კვლევაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება. 2018 წლის განმავლობაში ცენტრში ჩატარდა სულ 40 სასერტიფიკატო და

ტრენინგკურსი. კურსებში მონაწილეობა მიიღო 363-მა მსმენელმა. სამოქმედო გეგმით დაგეგმილი იყო ჯგუფების საერთო ჯამური მაჩვენებლის (სასერტიფიკატო და ტრენინგკურსები) საშუალოდ 15 ერთეულით გაზრდა, ხოლო მსმენელთა რაოდენობის მინიმუმ 350-მდე გაზრდა, რაც მიღწეულია. კურსები ჩატარდა შემდეგი მიმართულებით: ტრენერების ტრენინგი დამწყებთათვის; სურსათის უვნებლობა და საინსპექციო კონტროლი; ზოგადი მენეჯმენტი; ტრენინგი შრომის სამართლისა და პერსონალის მართვის აქტუალურ საკითხებზე; კულინარიული ტურიზმი; სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა; აღმზრდელი ბაგა-ბაღის; საპროექტრო განაცხადის წერა; ტრენინგი უმაღლესი განათლების აკადემიური პერსონალისათვის; კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის; საზოგადოებასთან ურთიერთობა 101; პრაქტიკული ინგლისური; ზოგადი ინგლისური A2 დონე; ზოგადი ინგლისური B2 დონე; ზოგადი ინგლისური B1 დონე; გერმანული ენის პრაქტიკული კურსი A1 დონე; გერმანული ენის პრაქტიკული კურსი A2 დონე.

უწყვეტი განათლების ცენტრში წლის განმავლობაში დამტკიცდა 7 ახალი კურსი. მაშინ, როდესაც სამოქმედო გეგმით დაგემილი იყო მინიმუმ 5 ახალი კურსის დამტკიცება. კერძოდ, მედიაფსიქოლოგია 101, საზოგადოებასთან ურთიერთობა 101, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მართვა და ადმინისტრირება“, გერმანული ენის პრაქტიკული კურსი: დონე A2, B1 , B2, ქოუჩინგი მენეჯმენტში, ფირმის ბუღლატერია - ორისი, სურსათის ეტიკეტირება.

უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების ამოცანა იყო საბაზისო მაჩვენებელთან (2017 წელს სამი გრძელვადიანი კურსი) შედარებით მეტი აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსის განხორციელება. მეტი ქართველი და უცხოელი აბიტურიენტის მოზიდვა და აბიტურიენტების პროფორიენტირება. 2018 წელს განხროციელდა 5 გრძელვადიანი კურსი, საიდანაც 4 აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსი იყო, ხოლო ერთი - მომავალი სტუდენტების პროფორიენტირებისთვის. 2017 წლის საბაზისო მონაცემებთან (3 გრძელვადიანი კურსი - 2 მოსამზადებელი, 1 პროფორიენტაციაში) შედარებით 2018 წელს შეიქმნა და განხორციელდა 2 ახალი კურსი - გამოცდებისთვის მოსამზადებელი ინდივიდუალური კურსი და უცხო ენებში მოსამზადებელი კურსი (ინტენსიური მოსამზადებელი კურსი ზოგად ინგლისურში და ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსი დამწყებთათვის - კურსი შეიქმნა უცხოელი აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც საქართველოში სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ). 2018 წელს განხორციელებული კურსების ჩამონათვალია: ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსი, საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსი, ინდივიდუალური მოსამზადებელი კურსი, უცხო ენებში მოსამზადებელი კურსი, კურსი პროფორიენტაციაში.

2018 წელს აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მოემზადა 198 აბიტურიენტი, რაც 2017 წლის საბაზისო მონაცემებს 87 აბიტურიენტით აღემატება. ასევე, ლექცია-კონსულტაცია პროფორიენტაციაში გაიარა 1 900-ზე მეტმა აბიტურიენტმა, რაც საბაზისო მაჩვენებელს 700-ით აღემატება.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობა მოიცავს: უნივერსიტეტისა და საბავშვო უნივერსიტეტის ღია კარის დღეებს, ექსკურსიებს უნივერსიტეტის მუზეუმებში, „ნორჩთა სკოლების“ (ასტრონომთა, ეკონომისტთა, მათემატიკოსთა, ჰუმანიტართა და ა.შ.) სალექციო და ლაბორატორულ მეცადინეობებს, სალექციო კვირეულებს, ლექციებს პროფორიენტაციაში, კონფერენციებს, ესეებისა და სხვა კონკურსებს, ვიქტორინებს და ა.შ. აღნიშნულ პროექტებში

მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სხვადასხვა პროფესიის გაცნობას, პროფესიის მეტად გააზრებულად არჩევას.

საბავშვო უნივერსიტეტის პროექტები ხორციელდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე სისტემატური გასვლითი შეხვედრების სახით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „თსუ დესპანი“, რომელიც უკვე მე-7 წელია ხორციელდება და თსუ-ის სტუდენტების სკოლებში მისვლასა და მოსწავლეებისათვის საუნივერსიტეტო გარემოს, სხვადასხვა პროფესიის და სტუდენტური ცხოვრების გაცნობას გულისხმობს.

2018 წელს დაგეგმილი იყო საბავშვო უნივერსიტეტის მინიმუმ 2 ახალი პროგრამის შემუშავება და განხორციელება (2017 წელს შემუშავდა და განხორციელდა 17 პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 110 საჯარო და კერძო სკოლა. განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღი 42-მა პროფესორ-მასწავლებელმა), პროექტში ჩართული სკოლების 10 % -ით ზრდა, საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამებში პროფესორთა რაოდენობის 5 % -ით ზრდა, ასევე, დაგეგმილი იყო საბავშვო უნივერსიტეტის პროექტში ,,თსუ დესპანი“ მონაწილე სტუდენტების 20% -ით ზრდა (2017 წელს პროექტში „თსუ დესპანი“ ჩართული იყო 132 დესპანი, რომელთაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 150 სკოლაში ჩაატარეს საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ შეხვედრა).

2018 წელს საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამებში ჩართული იყო 130 საჯარო სკოლა, 9000-ზე მეტი მოსწავლე, 49 პროფესორ-მასწავლებელი და უნივერსიტეტის თანამშრომელი, განხორციელდა 21 საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა (4 ახალი პროგრამა - ,,დღე თსუ-ში“, ,,ინტერდისციპლინარული სკოლა“, ,,მოგზაურთა კლუბი“, ,,გამომგონებელთა კლუბი“).

პროექტში ,,თსუ დესპანი'' ჩართული იყო 220 დესპანი, რომელთაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 200-ზე მეტ სკოლაში ჩაატარეს საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ შეხვედრა. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 5000-მდე მოსწავლემ.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამებიდან მოზიდული თანხა გაიზარდა **128 324** ლარით. თუ 2017 წელს საერთო შემოსავალი შეადგენდა 107 654 ლარს, 2018 წელს შემოსავალმა შეადგინა 235 978 ლარი.

უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, 2018 წელს გაიზარდა, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული გამოცემების რაოდენობა:

	წელი	დაიბეჭდა
1.	2018	200 დასახელების გამოცემა
2.	2017	133 დასახელების გამოცემა
3.	2016	106 დასახელების გამოცემა
4.	2015	153 დასახელების გამოცემა
5.	2014	113 დასახელების გამოცემა
6.	2013	92 დასახელების გამოცემა

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ "ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე" წარდგენილი წიგნების **90 %** უნივერსიტეტის გამოცემებმა შეადგინა;

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემების უდიდესი უმრავლესობაც უნივერსიტეტის მიერ მომზადდა;

შთამბეჭდავად გაიზარდა მოთხოვნა ელექტრონულ წიგნებზე. შარშან **37** დასახელების ტექსტი მომზადდა და განთავსდა ელექტრონულად, მაშინ, როცა წინა წლებში მათი რაოდენობა ერთნიშნა ციფრს არ აღემატებოდა. მათ შორის დაიბეჭდა **10** ახალი ნათარგმნი სახელმძღვანელო:

#	დასახელება	ფერი	გვერდების რაოდენობა
1.	სტრატეგიული მენეჯმენტი (Pearson)	4 ფერი	756
2.	ფარმაკოლოგია (Lippincott)	4 ფერი	932
3.	მენეჯმენტი (Pearson)	4 ფერი	828
4.	საერთაშორისო ეკონომიკის პოლიტიკა და თეორია (Pearson)	4 ფერი	788
5.	საერთაშორისო ეკონომიკის პოლიტიკა და თეორია (გზამკვლევი)	4 ფერი	654
6.	პოლიტიკური ანთროპოლოგია	4 ფერი	250
7.	ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	1 ფერი	200
8.	როგორ დავწეროთ ისტორია	1 ფერი	300
9.	ერთგანზომილებიანი ადამიანი	1 ფერი	356
10.	ომისა და მშვიდობის გზები	1 ფერი	500

გაიზარდა მოთხოვნა აგრეთვე კომერციულ (თვითდაფინანსებით) ბეჭდვაზე. სტამბა მოემსახურა 13 880 ლარის ღირებულების 18 დასახელების წიგნის გამოცემას. მათ შორის, დაკვეთა ისრაელიდან **და** ფინეთიდანაც კი განხორციელდა.

მომზადდა საიმიჯო წიგნები: „მამა"; „სულიკო მსოფლიო ხალხთა ენებზე"; „UNIVERSITAS".

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 2018 წელს შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 7 298 დასახელების 16 115 საბიბლიოთეკო ერთეული. დამუშავდა დასკანერებული წიგნების 376 ცალი PDF ფაილი. ბიბლიოთეკა წარმატებით თანამშრომლობს საქართველოს ცნობილ გამომცემლობებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2018 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ პარტნიორი გამომცემლობებისგან საჩუქრად მიიღო 80 ერთეული წიგნი. დღემდე გრძელდება 1918 წლიდან დაწყებული ტრადიცია, ბიბლიოთეკის

წიგნადი ფონდი ივსება ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოწირული წიგნებით. შემომწირველებთან გაფორმდა 538 ინდივიდუალური ხელშეკრულება. ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს საბიბლიოთეკო სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში. 2018 წელს ბიბლიოთეკის ინიციატივით შემუშავდა 96 ნორმატიული დოკუმენტის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების) პროექტი. ასევე, მიმდინარეობს ელექტრონული რესურსების ვებ-საიტის eBooks.tsu.ge შემდგომი განვითარება და შევსება, რაც გულისხმობს მისი ანტივირუსული მდგრადობის უზრუნველყოფას და დოკუმენტების (წიგნები, აუდიოფაილები, დისერტაციები და ფოტოსურათები) დასკანერებული ასლების ატვირთვას. აგრეთვე მიმდინარეობს ელექტრონული კატალოგის შესაბამისი რესურსების გადაყვანა eBooks.tsu.ge ვებ-საიტზე.

მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შევსება. 2018 წლის ბოლოსთვის ელექტრონულ კატალოგში ირიცხებოდა 297 797 საბიბლიოთეკო ერთეული და 168 980 ელექტრონული ბარათი. ბიბლიოთეკის დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 105 581 გვერდი. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ციფრულ ბიბლიოთეკაში (ebooks.tsu.ge) განთავსდა 784 საბიბლიოთეკო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია. ჩაიწერა 1 443 PDF ფაილი. დამუშავდა 3 675 ფოტოფირი. ePrints.edu.ge -ზე აიტვირთა 493 სამეცნიერო ნაშრომი.

ბიბლიოთეკარების პროფესიული დონის შენარჩუნება მოითხოვს მუდმივ ტრენინგს, ვინაიდან ეს სფერო დაკავშირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რომლებიც ძალზე სწრაფად ვითარდებიან. თსუ ბიბლიოთეკარებისთვის ტარდება სემინარი-ტრენინგები ინტერნეტში ინფორმაციული დოკუმენტების ძიებისა და საბიბლიოთეკო ბაზებში ეფექტიანი მუშაობის უნარჩვევების გაუმჯობესებისთვის.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უზრუნველყოფილი იყო თანამედროვე ელექტრონულ ბაზებზე ((BioOne, Oxford Online dictionary, Econlit, EbscoHost, New England Journalof Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომა. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით უნივერსიტეტი კვლავ სარგებლობს Scopus მონაცემთა ბაზებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაცია. 2018 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა 705 საბიბლიოთეკო ერთეულს. დეზინფექცია ჩაუტარდა და გაიწმინდა ობის სოკოსგან დაზიანებული 408 საბიბლიოთეკო დოკუმენტი. ამოიბეჭდა, ყდაში ჩაისვა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად დამზადდა 834 ერთეული წიგნი. აგრეთვე აიკინძა და ყდაში ჩაისვა გაზეთები 40 ბლოკად.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა გამოფენები და წიგნის პრეზენტაციები. ბიბლიოთეკამ მოაწყო 5 გამოფენა („ქათული ენის მემატიენე წიგნები"; „ქართული უნიკა"; ქართულ-ოსური ურთიერთობები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში"; „შალვა ნუცუბიძის ნაშრომების გამოფენა"; „გიორგი მელიქიშვილის ნაშრომების გამოფენა";), 5 ახალი წიგნის პრეზენტაცია, 2 საჯარო ლექცია/დისკუსია და 2 სტუდენტური კონფერენცია. ანალიზი გაუკეთდა 1 206 სასწავლო კურსში მითითებულ ძირითად ლიტერატურას და შესწავლილ იქნა მათი შესაბამისობა საბიბლიოთეკო ფონდებთან.

ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში შევიდა გაზეთის ,,თბილისის უნივერსიტეტი'' 2 247 სტატია. საუნივერსიტეტო ჟურნალებიდან ელ. კატალოგისთვის დამუშავდა 785 სტატია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას პერიოდული გამოცემების მდიდარი ფონდები აქვს. 2018 წელს დამუშავდა პერიოდული გამოცემების (ჟურნალები და გაზეთები) 897

საბიბლიოთეკო ერთეული. ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 560 დასახელების 1078 ერთეული ჟურნალი. დამუშავდა 253 ფოტო, შეიქმნა 20 ერთეული გაზეთის ნომრების ცხრილი.

ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული და უცხოური იშვიათი გამოცემების უკეთესად წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ხელუხლებელი, აღმოსავლური და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდების დამუშავება. 2018 წელს ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის საცავში განთავსდა და დამუშავდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის 6 968 საბიბლიოთეკო ერთეული. ელექტრონულ კატალოგში შევიდა 800 ჩანაწერი. 3000 ერთეულს მიენიჭა ბარკოდი.

2018 წელს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი ს" თანამშრომლების მონაწილეობით გაიმართა 2 გამოფენა: „ქალები პოლიტიკაში - საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის გამოცდილება", „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემა". 2 კონფერენცია: „ნოე ჯორდანია 150", „მარიამ ლორთქიფანიძის კითხვანი". გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის". გამოიცა 7 ახალი წიგნი და ალბომი. დამუშავდა მიშელ რამიშვილის კოლექციიდან 460 დოკუმენტი.

2018 წელს ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში ჩაეწერა 839 ახალი მკითხველი, გაიცა 4 733 წიგნი, დაბრუნდა - 4 338 წიგნი. სამკითხველო დარბაზებსა და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში განხორციელდა 207 100 ვიზიტი.

უნარშეზღუდულ მკითხველთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სპეციალური კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ჯგუფური მუშაობის სივრცე.

ყოველწლიურად უნივერსიტეტი ბიუჯეტში ითვალისწინებს წიგნების შესაძენ თანხას. 2018 წელს ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 161 000 ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 158 000 ლარი.

უნივერსიტეტის მუზეუმის მუშობა 2018 წელს ძირითადად ითვალისწინებდა უნივერსიტეტის დაფუძნებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნას, რისთვისაც მუზეუმმა მოამზადა შესაბამისი მუდმივმოქმედი გამოფენების სამეცნიერო კონცეფცია და გამოფენების დიზაინი. გამოფენებსა და მუდმივმოქმედ სტაციონალურ ექსპოზიციებს უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა მრავალი სტუმარი ეწვია როგორც უცხოეთიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან.

უნივერსიტეტის მუზეუმმა, რომელიც სხვადასხვა დარგის მუზეუმებს აერთიანებს, შემდეგი სამუშაოები განახორციელა. კერძოდ, არქეოლოგიის მუზეუმი მონაწილეობდა საველე არქეოლოგიურ ექსპედიციებში, სასწავლო-პრაქტიკულ სამუშაოებში; საინვენტარო წიგნებში აღრიცხავდა გათხრებით მოპოვებულ არტეფაქტებს. ისტორიის მუზეუმმა დაამთავრა თსუ-ს 100 წლისთავთან დაკავშირებით შემოსული საჩუქრების აღრიცხვა. გეოგრაფიის მუზეუმმა მოამზადა თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებლის, ანდრია ბენაშვილის, გამოფენა. პალეონტოლოგიის მუზეუმში დაიწყო ექსპონატების სათანადო წესით აღრიცხვა. მინერალოგიის მუზეუმის მენეჯერმა მოამზადა მოკლე მინერალოგიური ლექსიკონი. ზოოლოგიის მუზეუმში რეგულარულად ტარდებოდა ლექცია-საუბრები საქართელოს სხვადასხვა სკოლების მოსწავლეებისათვის. ქართული ემიგრაციის მუზეუმი სისტემატურად ატარებდა შეხვედრებს ემიგრაციის წარმომადგენლებთან, მონაწილეობდა კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში. ვაჟა-ფშაველას მემორიალურ მუზეუმს სტრუმრობდა თსუ-ს სტუდენტები და საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. მათთვის ტარდებოდა ლექცია-საუბრები ვაჟა-ფშაველას

ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე. მუზეუმის დროებითი გამოფენების დარბაზში მოეწყო 32 დროებითი გამოფენა, რომელიც მიეძღვნა თსუ-ს პროფესორებსა და სხვადასხვა საიუბილეო თარიღებს. გამოფენებისათვის მომზადდა და გამოიცა შესაბამისი საგამოფენო მეგზურები.

უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდები გასულ 2018 წელს ახალი ექსპონატებით გამდიდრდა, რომელთა რაოდენობა საერთო ჯამში ათასამდეა. ეს არის როგორც უნივერსიტეტისათვის საიუბილეოდ, საჩუქრების სახით გადმოცემული ნივთები, ასევე არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები.

რესურსების მართვა

პერსონალის მართვის დეპარტამენტის მხრიდან, კომპეტენციის ფარგლებში, მხარდაჭერა ჰქონდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ხორციელდებოდა მათი კვლევით/საგრანტო პროექტებში ჩართულობით, სამეცნიერო მივლინებებით, კონფერენციებზე, სემინარებზე და ა.შ. მონაწილეობის გზით.

დეპარტამენტის მიერ განახლდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები სტრუქტურული ერთეულების აბსოლუტურ უმრავლესობაში (ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები დამტკიცებული იყო 2009 წელს). სამუშაო აღწერილობების განახლების მიზნით განხორციელდა სამუშაოების კოორდინაცია, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე სამუშაოთა აღწერილობები მომზადდა დასამტკიცებლად (დამხმარე პერსონალის სამუშაოთა აღწერილობების დამტკიცების მიმართულებით კონსულტაციები გაეწიათ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს. ინსტიტუტების დებულებების შესაბამისად, სამუშაო აღწერილობების დამტკიცება ევალებათ დირექტორებს). ხსენებული მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში დიდი მუშაობა გასწია დეპარტამენტმა. ფაქტობრივად, ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაოთა აღწერილობამ გაიარა ექსპერტიზა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განახლებული სამუშაოთა აღწერილობები დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებებით.

შეიქმნა ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის შექმნის მიზნით დეპარტამენტი ჩართული იყო სამუშაო შეხვედრებში, გაიარა კონსულტაციები სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან. მომზადდა პერსონალის შეფასების სისტემის დასამტკიცებელი ვარიანტი სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტთან, იურიდიულ დეპარტამენტთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. პერსონალის შეფასების წესი დამტკიცდა აკადემიური საბჭოზე.

დეპარტამენტმა თვითშეფასების კითხვარები გადაუგზავნა ყველა საგანმანათლებლო

და სამეცნიერო-კვლევით ერთეულს. შეფასების ფორმები გაიგზავნა ასევე დამხმარე პერსონალის შესაფასებლად. მომზადდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების შესახებ რეგულაციის (დადგენილების) პროექტი იურიდიულ და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტებთან ერთად. მომზადებული პროექტი განსახილველად გაეგზავნა ფაკულტეტებს და შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინა აკადემიურ საბჭოს. ხსენებული წესი დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე. აფილირების წესში, თსუ ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა, რომლის განხილვის შემდეგ იგი დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე.

განხორციელდა აფილირების პირობების გაცნობა აკადემიური პერსონალისათვის, მომზადდა შეთანხმებების პროექტები ფაკულტეტების მიხედვით და მაქსიმალურად მოკლე ვადებში აკადემიურ პერსონალთან გაფორმდა ინდივიდუალური წერილობითი შეთანხმებები (2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით 731 აკადემიური პერსონალიდან თსუ-სთან აფილირებულია 701).

განხორციელდა უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის პროექტის შემუშავება. განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, სამუშაო მასალა გადაეგზავნა ფაკულტეტების დეკანებს, მათი წინადადებები აისახა პროექტში და წარედგინა აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. დამუშავდა და გაანალიზდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემები სემესტრების მიხედვით (საკონტაქტო საათები - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა) აკადემიური საბჭოს დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში განხორციელდა აკადემიური პერსონალისა და ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლების მონაცემების შეტანა-განახლება საკონტაქტო დატვირთვის ჩვენებით.

დეპარტამენტი ჩართული იყო თსუ ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებულ აქტივობებში - ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის გაუქმების ან შესაბამისი ფაკულტეტისათვის დაქვემდებარების მიმართულებით. გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტების დეკანებთან. გაუქმდა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - ლიდერთა სკოლა. გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია, საქართველოს სამეზობლო კვლევის ინსტიტუტი და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი გადავიდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაქვემდებარებაში.

პერსონალის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ სრულყოფილი და ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდა პერსონალის რიცხოვნობისა და შემადგენლობის დეტალური ანალიზი და მასალა შესაბამისი წინადადებებით დამატებით წარედგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის შესახებ დროულად, ვადების დაცვით, მომზადდა და შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად მიეწოდა სტატისტიკური ანგარიშები.

საანგარიშო წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მოქალაქეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად მოძიება, სისტემატიზაცია/მომზადება და მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი

პირისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ასევე, წლის განმავლობაში პერმანენტულად ხორციელდებოდა დეპარტამენტში შემოსული სხვადასხვა შინაარსის კორესპონდენციის დამუშავება და დასაბუთებული/ სრულყოფილი წერილობითი პასუხების მომზადება. 2018 წელს რეაგირება განხორციელდა 8 946 სხვადასხვა შინაარსის წერილზე/განცხადებაზე.

პერსონალის მართვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის კუთხით, წლის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, ხორციელდებოდა სამუშაოები: პერსონალის ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგების, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადების, პერსონალის მივლინებების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება-წარდგენის, "სახაზინო" და „პერსონალის ბაზაში“ პერსონალის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა-კონტროლის, თსუ-ს აკადემიური და ადმისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლის, აკადემიურ, სამეცნიერო, მასწავლებლის, დამხმარე თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადების, არჩეულ პერსონალთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიმართულებით.

პერსონალზე ზრუნვის ფარგლებში, თსუ-სა და სადაზღვევო კომპანია - „ალფას“ შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თსუ პერსონალს გაეწია კონსულტაციები. სადაზღვევო კომპანიას ყოველი თვის დასაწყისში მიეწოდებოდა დაზუსტებული ინფორმაცია დაზღვეული პერსონალის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ. დაზღვევით ისარგებლა თსუ-ს პერსონალმა და მათი ოჯახის წევრებმა (სულ 2 230 პირმა). კანონმდებლობის შესაბამისად, მავნე პირობებში მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი იყო 35 საათიანი სამუშაო კვირითა და კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით (24 სამუშაო დღე + 10 კალენდარული დღე). მცირეწლოვანი ბავშვის დედები უზრუნველყოფილნი იყვნენ დამატებითი ერთსაათიანი შესვენებით.

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი 2018 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა: თსუ-ს კორპუსებში არსებული საკომუნიკაციო სისტემების გამართულ მუშაობას, კომუნალური გადასახდელებისათვის დოკუმენტაციის მომზადებას და გადახდაზე კონტროლს, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას: ინვენტარის, მასალების, სანიტარული საშუალებებისა და ავეჯის შესყიდვის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვას და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას, საინვენტარიზაციო და ჩამოწერის კომისიასთან აქტიურ თანამშრომლობას, სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურებას და სხვა.

დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გარემონტდა I სასწავლო კორპუსისა და ლისის საერთო საცხოვრებლის სტადიონები (22 760 ლარი); ცენტრალური ბიბლიოთეკის საგამოცდო ცენტრის სხვენში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები (6 517 ლარი); ლისის საერთო საცხოვრებლის 12 ოთახში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები (22 093 ლარი); III, V, XI ბიოლოგიის სასწავლო კორპუსების ტერიტორიაზე მოეწყო ასფალტის საფარი (44 229 ლარი); გარემონტდა II სასწავლო კორპუსის 144 აუდიტორია, I სასწავლო კორპუსის 020 ოთახი და აფხაზეთის რადიოს ოთახები (18 084 ლარი); X სასწავლო კორპუსში მე-12 სართულზე მდებარე ოთახებს ჩაუტარდა რემონტი (82 225 ლარი); გარემონტდა I სასწავლო კორპუსში არსებული ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია (7 389 ლარი); ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მაღლივი კორპუსის შენობებში შეიცვალა გამათბობელი

ქვაბები (56 996 ლარი); ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გარემონტდა ცოდნის გადაცემის და კარიერული განვითარების ცენტრი (54 377 ლარი); ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მაღლივ კორპუსში ჩატარდა გარე კიბეების სარემონტო სამუშაოები და მოეწყო საწყობი (16 897 ლარი); ბიოლოგიის კორპუსის კორიდორებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა იატაკებს (130 716 ლარი); I სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბაზალტის ქვის მოპირკეთებას (22 268 ლარი); ტურიზმის სკოლის ტერიტორიაზე შეიცვალა საკანალიზაციო კომუნიკაციები და გაიწმინდა ჭები (9 652 ლარი); X სასწავლო კორპუსის ტურიზმის ფლიგელს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები (99 823 ლარი); ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ეკონომიკის სკოლის შენობაში (183 990 ლარი). სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო მოცულობამ შეადგინა 5 350კვ.მ., საერთო ღირებულებით 1 068 494 ლარი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა: თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში, მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში, პაატა მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო მოცულობამ შეადგინა 3 500კვ.მ., საერთო ღირებულებით 253 307 ლარი.

ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში, თსუ-ს მეორე კორპუსში ჩატარდა შემდეგი სარემონტო სამუშაოები: შეიცვალა ფანჯრის ღიობები - 3 800კვ.მ; რეაბილიტირდა ფასადები - 10 900კვ.მ; შეიცვალა სახურავი - 6 500 კვ.მ; შეიცვალა გათბობის სისტემა და დამონტაჟდა 800 ერთეული რადიატორი. რემონტი ჩაუტარდა სველ წერტილებს. სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგენა 4 460 543 ლარი.

ასევე, მომზადდა სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები და პროექტები. კერძოდ, თსუ-ს მაღლივი კორპუსის გადახურვა- რეკონსტრუქციის (დარჩენილი ნაწილი), ბიოლოგების კორპუსის გადახურვა-რეკონსტრუქციის, ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობის სარემონტო სამუშაოების. დასრულდა რაფიელ აგლაძის სახელობის ორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტში 2016 წელს შეწყვეტილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

2018 წლის განმავლობაში ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად მზადდებოდა და ამჟამადაც მიმდინარე პროცესშია უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები. ამ დროისათვის დასრულებული სახით წარმოდგენილია III, IV, V, VI, VIII სასწავლო კორპუსების, ბაგების სტუდქალაქისა და დუშეთის ობსერვატორიის მიწის საკადასტრო და შენობების ნახაზები. ასევე, დასუფთავდა და მოწესრიგდა უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეზოების ტერიტორიები, მოიჭრა, გაითიბა და გაიკრიჭა ხე მცენარეები. გამწვანების მიზნით დაირგო ახალი ნარგავები.

საფინანსო დეპარტამენტი 2018 წელს საქმიანობას წარმართავდა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, საგეგმო-საფინანსო, აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით, დეპარტამენტის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის 2018 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის

უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ გეგმით გათვალისწინებული ძირთადი ვალდებულებები შესრულებულია.

2018 წლის უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა გარდამავალი ნაშთის (12 559 856 ლარი) ჩათვლით შეადგინა 91 667 141 ლარი, გადასახდელებმა 81 415 892 ლარი, ხოლო 2019 წლის გარდამავალმა ნაშთმა 10 251 249 ლარი. ეს უკანასკნელი მოიცავს: ეკონომიკური საქმიანობის, ინფრასტრუქტურის, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტების ნაშთებს, რომლებიც დაფინანსების წყაროების მიხედვით მიზნობრივადაა გაწერილი 2019 წლის ბიუჯეტში და უზრუნველყოფს წლის დასაწყისში აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.

2018 წლის გადასახდელებში, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა - 52 720 102 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის - 11 925 079 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სტიპენდიამ -

913 970 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს, 26 მაისის ღონისძიებების, მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალის, საქართველოს ეროვნული ატლასის ინგლისურენოვანი გამოცემის'' - 6 991 371 ლარი; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის - 107 840 ლარი; ეროვნული სამეცნიერო ფონდის - 6 501 567 ლარი და საერთაშორისო გრანტების - 2 225 963 ლარი .

2018 წელს თსუ-ს ეკონომიკური შემოსავლებიდან შეძენილია 457 892 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 50 680 ლარის პროექტორები, 60 072 ლარის საოფისე ინვენტარი, 20 443 ლარის სამედიცინო მოწყობილობები, 111 994 ლარის ლაბორატორიული ხელსაწყოები და მოწყობილობები, შესრულებულია სულ 1 163 541 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები და ა.შ.

2017 წლის ბოლოს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად 2018 წელს, უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე გაიწია 4 460 543 ლარის, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოებისათვის 155 085 ლარის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სარემონტო სამუშაოებისათვის და აღსაჭურვად 414 229 ლარის და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე 1 480 620 ლარის ხარჯი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ჩატარების ღონისძიებებზე - 307 725 ლარის, 26 მაისის ღონისძიებებზე 139 199 ლარის, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისათვის 27 273 ლარის, საქართველოს ეროვნული ატლასის ინგლისურენოვანი გამოცემისათვის 49 300 ლარის ხარჯი.

2018 წელს შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები. კერძოდ, სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტები, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის

უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობები.

2018 წელს შექმნილმა სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელმა საბჭომ 556 431 ლარით დააფინანსა 47 სამეცნიერო (301 518 ლარი) და 83 კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო სტუდენტური (254 913 ლარი) პროექტი. მათ შორის აღსანიშნავია სტუდენტური პროექტები: ,,ქართული ფორთოხლის ფლავინოიდური ექსტრაქტით ზოგიერთი უჯრედული სასიგნალო გზის მოდულაცია გაფანტული სკლეროზის მოდელურ ცდებში'' ბიუჯეტით - 15 000 ლარი; ,,აზიური ფაროსანას გავრცელებისა და მავნებლობის ხარისხის კვლევა ინტეგრირებული მართვის მეთოდების გამოყენებით დასავლეთ საქართველოს, თხილის ბაღის საექსპერტო ბაღებში'' ბიუჯეტით - 14 088 ლარი; საქართველოს აგრაგულ ბაზარზე არსებული საფერავი ღვინის სარეალიზაციო ფასსა და მის ანტიოქსიდანურ თვისებებს შორის დამოკიდებულებების შესწავლა'' ბიუჯეტით - 12 500 ლარი, ,,ქართული ტრადიციული წესით დაყენებული ქვევრის ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობის შეფასება და გავლენა ლიმფოციტების უჯრედულ კულტურაზე'' ბიუჯეტით - 12 200 ლარი და სხვა. წარჩინებული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით 10 თვის განმავლობაში. სემესტრულად 600-მდე წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა 905 850 ლარის სახელმწიფო სტიპენდია. გარდა ამისა, გაიცა სხვადასხვა სახელობითი სტიპენდიები 103 446 ლარის ფარგლებში.

უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 600 000 ლარით დაფინანსდა მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტები. 500 000 ლარის ფარგლებში დაფინანსდა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში, პრაქტიკა- ექსპედიციებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა. 800 000 ლარამდე სწავლის საფასურის შეღავათი გაეწიათ 600-მდე დოქტორანტს. ასევე, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში ფინანსდებოდა: ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის, სასწავლო ნივთების, მასალების, რეაქტივების, გამომცემლობის-სასტამბო, სამეცნიერო ექსპედიციების, წიგნადი ფონდის შესაძენად საჭირო ხარჯები, მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები, სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობა და სხვა.

ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას როგორც გასულ წლებში, ასევე 2018 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვები. ასევე, გარკვეული ყურადღება ექცეოდა, უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების (14 ინსტიტუტის) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი (თითოეულისათვის ცალ-ცალკე) ასიგნებების ხარჯვის მონიტორინგს, ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებას. 2018 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით 224 საგრანტო პროექტი (მათ შორის 193 - ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 31 - საერთაშორისო გრანტი).

2018 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა დაფინანსების სამი წყაროდან _ ეკონომიკური შემოსავლებიდან, საბიუჯეტო დაფინანსებიდან და საგრანტო დაფინანსებიდან. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 331

(მ.შ. 4 ორეტაპიანი და 223 აუქციონის გარეშე) ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა ნაკლებია წინა წელთან შედარებით, რაც მიღწეულ იქნა შესყიდვების ოპტიმალობით. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 1 416 ხელშეკრულება. აქედან ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 250 ხელშეკრულება, 1 083 ხელშეკრულება გამარტივებული, ხოლო 83 კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვაზე. არ შედგა 42 ტენდერი, რაც ნაკლებია წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელზე და ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით და ლარის კურსის მერყეობით. ფაქტობრივად, წლის განმავლობაში დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა 17 361 484 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რაც წინა წელთან შედარებით 60%-ით მეტია და ძირითადად განპირობებულია ინფრასტრუქტურული პროექტების, საიუბილეო, აგრეთვე მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ღონისძიებების ორგანიზებისათვის ცენტრალიზებულად გამოყოფილი ფინანსური რესურსებით. აქედან 11 802 014 ლარის შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხოლო 5 559 380 ლარის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. 224 409 ლარის პროდუქციისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც მთლიანი შესყიდვების 1,2%-ს არ აღემატება. შესყიდვების დაფინანსების წყაროს მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: 6 139 476 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან, 9 811 093 ლარის - სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული სახსრებიდან, ხოლო 1 410 915 ლარის - გრანტების დაფინანსებით.

საფინანსო დეპარტამენტის ძალისხმევით დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა უნივერსიტეტში ხელფასებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხის გადაჭრას, დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წილური ბალანსების ჩაბარება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ინვენტარიზაციის რთულ და შრომატევად პროცესში. გარდა აღნიშნულისა, დიდი მოცულობის სამუშაო იქნა გაწეული თსუ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად. 2019 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულ იქნა 2018 წლის 27 დეკემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ აკადემიური საბჭოს წევრების მონაწილეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო დეპარტამენტმა, უნივერსიტეტის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2018 წელს განახორციელა სტრატეგიული მიზნების (სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება; სამეცნიერო-კვლევითი ინტეგრაცია სასწავლო პროცესში; სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია; სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია; საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება; მართვის სისტემის, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება) ფინანსური უზრუნველყოფა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გრძელდება მუშაობა უნივერსიტეტების დაფინანსების ახალ მოდელზე, რის გამოც 2018 წელს არსებული დაფინანსების პირობებში საფინანსო დეპარტამენტის მიერ (უნივერსიტეტის სხვა

პროფილურ დეპარტამენტებთან ერთად) ვერ იქნა შემუშავებული უნივერსიტეტის მასშტაბით აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის ახალი სახელფასო პოლიტიკა.

2018 წელს დაიწყო მუშაობა და 2019 წელს ძალაში შევა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის ახალი წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ბიუჯეტის ფორმირების და აღსრულების პროცესი, ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების უშუალო ჩართულობით მათი მოვალეობების გამიჯვნით და მონიტორინგით. 2018 წელს შემუშავდა (ძალაში შევიდა 2019 წლიდან) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი, რაც გაუმჯობესებს შესყიდვების პროცესს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები. 2018 წლის განმავლობაში შესყიდული და განაწილებულ იქნა 150 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 40 ცალი პროექტორი, 150 ცალი პრინტერი.

გარდა ამისა, მაღლივ კორპუსში მოეწყო პროფესიული სწავლების მოდულური პროგრამებისთვის 3 კომპიუტერული კლასი. ასევე, მედიცინის ფაკულტეტზე ექსპლოატაციაში შევიდა 2 კომპიუტერული კლასი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა „საინფრომაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო პროგრამისთვის სასწავლო ლაბორატორიის შესაქმნელად საჭირო კომიუტერული ტექნიკის, სერვერული მოწყობილობებისა და ქსელური ინფრასტრუქტურის შესყიდვა. ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 2018 წელს ლისის საერთო საცხოვრებელში მოეწყო კომპიუტერული რესურს ცენტრი, რომელიც აღიჭურვა 15 ცალი პერსონალური კომპიუტერით და ინტერნეტის ქსელით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.

2018 წელს შემოსული მოთხოვნების შესაბამისად, შეიქმნა და ტექნიკით აღიჭურვა „თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი“. დაიგეგმა ბიბლიოთეკის კომპიუტერული პარკის მოდერნიზაცია და შესყიდულ იქნა „თხელი კლიენტი“ - 80 ცალი, განხორციელდა დაშორებული დესკტოპების სერვისების დანერგვის საწყისი ეტაპი ამორტიზებული ტექნიკის ნაცვლად.

2018 წელს გაიზარდა ელექტრონული კურსების მოხმარება 10%-ით. ასევე, არსებული კურსების ნაწილმა განიცადა რედაქტირება/დახვეწა აკადემიური პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად. ფაკულტეტების ადმინისტაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამეტის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა ტრენინგ კურსი აკადემიური პერსონალისათვის „ელექტრონული კურსის შექმნა და მართვა“, რომელიც განთავსდა ელექტორნული კურსების ვებგვერდზე. განხორციელდა აკადემიური პერსონალის დატრეინინგება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება ელექტორნული სწავლების მართვის სისტემაში „Moodle”. ტრენინგი გაიარა 83-მა პედაგოგმა. მოხდა თსუ-ს ბაკალავრიატის სასწავლო პროცესის ავტომატიზებული სისტემის გადაყვანა ახალ, საერთო პლატფორმაზე (lms.tsu.ge). წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სისტემის მორგება ახალ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

დასრულდა თსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ინტერნეტ-სერვისის ოპტიკურბოჭკოვან პლატფორმაზე გადაყვანის პროცესი. გაიზარდა ვაკის და მაღლივ კამპუსებში ინტერნეტის სიჩქარე ღირებულების ზრდის გარეშე, ინტერნეტ-სერვის პროვაიდერებთან Google cash და

Facebook cash-სერვისების აქტივაციით. შემუშავდა მაქსიმალურად ინფორმატიული ახალი ვებგვერდი, მომხმარებლის მიმართ მეგობრული ინტერფეისით, მომხმარებელთა პროფილების შექმნისა და მართვის ფუნქციებით. გამოცხადდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ შეასრულა ტექნიკური სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს ვებგვერდის ტესტირება და მცირე ტქნიკური ხარვეზების აღმოფხვრა. გაფართოვდა ინტრანეტის ვებ ინტერფეისი დამატებითი ფუნქციებით და შეივსო ინფორმაციით, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს წვდომა უნივერსიტეტის თანმშრომელთა საკონტაქტო ინფორმაციაზე, შიდა ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილურის ნომერი, პოზიცია/თანამდებობა.

2018 წლის განმავლობაში მოხდა VoIP-სერვისზე მასობრივი გადასვლა თსუ-ს მთლიანი მასშტაბით (დამონტაჟდა 700 აპარატი). აღნიშნულმა სერვისმა გამოიწვია ფინანსური ეკონომია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. კერძოდ, დაიზოგა დაახლოებით 40 000 ლარი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპრტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სატელეფონო საინფორმაციო სამსახური (ქოლ-ცენტრი), რომელიც დაკომპლექტდა წინასწარ დატრენინგებული თანამშრომლებით (2 თანამშრომელი).

ყველა ფაკულტეტისთვის და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისთვის ჩატარდა დამატებითი ტრენინგები lms.tsu.ge-სისტემაში სამუშაოდ უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. ჩატარებულმა ტრენინგების რაოდენობამ ჯამურად შეადგინა 63.

2018 წლის ბოლოს დაინეგრგა და 2019 წლიდან ფუნქციონირებს ბრძანებების მოდული. 2018 წლისთვის მოხდა ახალი 15 პერსონალური კომპიუტერით აღჭურვილი რესურსცენტრის ამოქმედება ლისის ტბის საერთო საცხოვრებელში ინტერნეტთან ხარისხიანი წვდომის საშუალებით.

2018 წელს მაღლივი კორპუსის სასერვერო აღიჭურვა უწყვეტი დენის მომარაგების სისტემით (დიზელ-გენერატორი) და დამონტაჟდა საერთაშორისო სტანდარტით მიღებული გაგრილების სისტემა. ანტივირუსული ლიცენზიების რაოდენობა 300 ერთეულით გაიზარდა.

2018 წელს მოხდა უახლესი ტექნოლოგიით მოდერნიზებული (VSAN), სერვერული ინფრასტრუქტურის შეძენა-დანერგვა. აღნიშნული ტექნიკით ჩანაცვლდა არსებული ამორტიზირებული ტექნიკა. უნივერისტეტის საერთო სერვისების (მონაცემთა ბაზები, სხვადასხვა სისტემები, ვებ ინფრასტრუქტურა) ახალი ტექნოლოგიის დანერგვით მნიშველოვნად გაიზარდა ეფექტურობა, მოცულობა და ხარისხი. თსუ-ში ფუნქციონირებს 81 სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორია-კომპიუტერული რესურსცენტრი. მათ შორის: 59 კომპიუტერული კლასი, 6 კომპიუტერული რესურსცენტრი და 16 სამეცნიერო-კვლევითი კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 1 270 კომპიუტერი და 53 პროექტორი.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ძალიხმევით 2018 წელს გაფორმდა და განახლდა თანამშრომლობის 39 ხელშეკრულება; დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 101 საპროექტო განაცხადი; 2018 წელს დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია 142 საერთაშორისო პროექტს (Key Action 1: ICM, Key Action 1, CBHE); ჩატარდა გაცვლითი და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების 1000-ზე მეტი აქტივობა (განცხადებების განთავსება ვებზე, საინფორმაციო დღეები, დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა); გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 104 კონკურსი: კონკურსები სტუდენტებისთვის 60 ევროპულ უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად; კონკურსები აკადემიური პერსონალისთვის 30 ევროპულ უნივერსიტეტში სტიპენდიების

მოსაპოვებლად; კონკურსები ადმინისტრაციული პერსონალისთვის 14 ევროპულ უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად; ინსტიტუციური ენის ერთი ტესტირება 6 ევროპულ ენაში. თსუ-ის გაცვლითი სტიპენდია უცხოეთში მობილობისთვის გაიცა 204 სტუდენტსა და 130 პერსონალზე; თსუ-ში გაცვლითი პროგრამით მიღებულ იქნა 91 უცხოელი სტუდენტი და 87 უცხოელი პერსონალი; ორგანიზებულ იქნა მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიებები: თსუ-ის 100 წლის იუბილე; ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა; ვეფხისტყაოსნის კითხვის საერთაშორისო მარათონი ფრანკფურტის უნივერსიტეტში; სამეცნიერო ფესტივალი (იტალიის დღე, საფრანგეთის დღე, CERN, Juelich) პერსონალის საერაშორისო კვირეული; 2 საზაფხულო სკოლა: საერთაშორისო საზაფხულო სკოლა თემაზე „სტარტაპი“, კობლენცის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით; საზაფხულო სკოლა კრიტიკული ენების სასტიპენდიო პროგრამის (CLSP) ფარგლებში; ორგანიზაციის "ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის" მიერ შერჩეული 25 მონაწილესთვის 9- კვირიანი ინტენსიური სწავლება რუსულ ენასა და კავკასიის პოლიტიკაში; 17 საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიალი; 25 საჯარო ლექცია. ორგანიზებულ იქნა 56 მივლინება საზღვარგარეთ; მასპინძლობა გაეწია 197 უცხოური დელეგაციის ვიზიტს თსუ-ში; დამუშავდა10000-ზე მეტი წერილობითი კორესპონდენცია; ხელი შეეწყო საქართველოს შემსწავლელი 7 ცენტრის დაარსებას საზღვარგარეთ; უზრუნველყოფილ იქნა უცხოური კულტურულ-საგანმანათლებლო 6 ცენტრის ფუნქციონირება თსუ-ში.

2018 წელი გამორჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, რის ორგანიზებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო **საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.** 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მთელი წლის განმავლობაში მრავალი ღონისძიება ჩატარდა. საიუბილეოდ საიმიჯო ბანერები განთავსდა თბილისის ქუჩებში, საქართველოს პარლამენტის შენობაზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. საიუბილეო წელი 2017 წლის 15 დეკემბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დაფუძნებით დაიწყო და 2018 წლის 28 დეკემბერს საზოგადოების ეგიდით გამართული ღონისძიებით - ერთობლივი საჯარო ლექციებით (ზ.კოკაია, დ.ლორთქიფანიძე, გ.დვალი) და საიუბილეო საფოსტო მარკის პრეზენტაციით დასრულდა. 2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 5-ლარიანი ნომინალის საკოლექციო საიუბილეო მონეტა.

თსუ 100 წლის საიუბილეო დღეებში რამდენიმე ათეული ღონისძიება გაიმართა, რომელსაც 160 სტუმარი ესწრებოდა 50-მდე ქვეყნიდან. მათ შორის, თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება ევროპის და აშშ-ის 7 უნივერსიტეტის რექტორებს და 3 უნივერსიტეტის პროფესორებს მიენიჭათ; ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „უმაღლესი განათლების პერსპექტივა: წარსულის გაცოცხლება და ფიქრი მომავალზე“; გაიმართა საზეიმო მიღებები პრეზიდენტთან, პარლამენტში, თბილისის მერიასა და საკრებულოში, პარაკლისი სამების საკათედრო ტაძარში; „ღამე მუზეუმში“ და სხვა. 2018 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მედიასაშუალებებით. გარდა ამისა, მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე, ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედია მონიტორინგის მონაცემებით, თსუ-ს შესახებ თვეში საშუალოდ 400-700 საინფორმაციო მასალა ვრცელდებოდა მედიაში (წელიწადში 6 000-ზე მეტი). გაშუქების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მოთამაშეების მაჩვენებლებისგან.

მომზადდა ოთხგვერდიანი 11 საგაზეთო ჩანართი (მათ შორის ერთი სპეცჩანართი დაიბეჭდა განათლების საერთაშორისო ფორუმისთვის) და თითოეული გავრცელდა 25 000

ტირაჟით. შესაბამისად, ყოველთვიურად გაზეთს 25 000-მდე ოჯახი კითხულობს. სულ გავრცელდა 275 000 ეგზემპლარი ჩანართი. ჩანართის მიზანია უნივერსიტეტის სიახლეების, წარმატებებისა და მიღწევების პოპულარიზაცია.

2018 წელს ხდებოდა ორენოვანი ვებგვერდის https://www.tsu.ge/science ადმინისტრირება და სიახლეების მომზადება საიტისთვის. ასევე, გასული წლის განმავლობაში მომზადდა მასალები სამეცნიერო კვლევების შესახებ 2018 წლის საიუბილეო ჟურნალისთვის „თსუ მეცნიერება“.

დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში 450-მდე ღონისძიება გაიმართა. გარდა ამისა, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 200-მდე ღონისძიება, მათ შორის თსუ-ს ორგანიზებით - 60.

უნივერსიტეტის სიახლეების გაშუქების მაჩვენებლები 2018 წლის განმავლობაში:



თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში ფესტივალის 50-მდე მონაწილის სტენდზე დამთვალიერებლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში, სახალისო ექსპერიმენტებში ფსიქოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში გაიმართა მასტერ-კლასები ფერწერასა და გობელენში. წარმოდგენილი იყო თსუ სტუდენტების მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტები. საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა თსუ-ს სტუდენტებისა და პროფესორების საჯარო ლექციები, გამოფენები, ღია კარის დღეები და სხვა.

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმე ღონისძიება. მათ შორის: ამბროლაურსა და თბილისში. რუსთაველის გამზირზე უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო საიუბილეო გამოფენაში. გაიმართა საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული წიგნების პრეზენტაცია. მოეწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი.

ჩატარდა მაღალი რანგის სტუმრების შეხვედრები თსუ სტუდენტებთან. მათ შორის: იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან - სერჯო მატარელასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან - ანგელა მერკელთან.

2018 წელს მომზადდა ახალი ვებგვერდის კონცეფცია, შეიქმნა ახალი ვებგვერდი, რომლის სრულყოფაც ამჟამად მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. შემუშავებულია ვებგვერდის ადმინისტრირების წესი, რომელიც ვებგვერდის ცენტრალიზებულ მართვას ითვალისწინებს.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია "ჯეოსელის", ამჯერად უკვე „სილქნეტის“, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით ჩატარდა რიგით მეათე საიუბილეო სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი "შემოდგომის ლეგენდა". პროექტში საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. ასევე გაიმართა ჟიურის წევრებისა და ათი წლის განმავლობაში გამარჯვებული კონკურსანტების იმპროვიზაციული ტური. გამოვლინდა ორი გამარჯვებული. გამოიცა კონკურსის 10 ფინალისტის და ჟიურის წევრებისა და ფინალისტების ნაწარმოებები 2 წიგნად. გაიმართა სტუდენტური კონკურსი - „მისია 2018“, სტუდენტური კონკურსი ,,პლანეტა რიდმორი“, ფოტოკონკურსი „უნიკადრი“, პროექტი „ქრონიკები“. თსუ-ში აღდგა ლიტერატურული წრე „93-ე აუდიტორია“. ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში (ახლანდელი 206-ე, ნიკო ცხვედაძის სახელობის აუდიტორია) იმართებოდა სტუდენტური ლიტერატურული ღონისძიებები. ახალგაზრდა მწერალთა წრის შეხვედრა-დისკუსიებზე მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი, ახლა კი უკვე სახელგანთქმული და ყველასათვის საყვარელი მწერლები თუ პოეტები, თავიანთ ნაწარმოებებს აცნობდნენ საზოგადოებას და პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამწერლობო ასპარეზზე.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მიერ გამოიცა გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ 11 ნომერი. ასევე, გამოიცა 2 (120-150-გვერდიანი) კრებული: შალვა ნუცუბიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი - ,,თავისუფლება ერთი პირობით“ და 2018 წლის მანძილზე ჩაწერილი თსუ-ის პროფესორთა საჯარო ლექციების ამსახველი წიგნი - ,,საჯარო ლექციების ციკლიდან“. შედგა წიგნის - ,,საჯარო ლექციების ციკლიდან“ - პრეზენტაცია თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის დარბაზში. რედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა პროექტ ,,უნი-ვერსიას“ ფარგლებში მოამზადა 37 გადაცემა, რომლებშიც ასახული იყო პროფესორებზე შექმნილი მინი-ფილმები, საუნივერსიტეტო სიახლეები, ღონისძიებები, კონფერენციები, სტუდენტური აქტივობები, წიგნის პრეზენტაციები, იუბილეები, საჯარო ლექციები და ა.შ. გადაცემები გავიდა რეგიონულ ტელევიზიებში და აიტვირთა უნივერსიტეტის ფეისბუქ-გვერდზე.

კომპანია ,,ტრი მედია ინტელიჯენსის“ მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მხოლოდ ხუთი რეგიონული ტელევიზიის ეთერით, გადაცემა ,,უნი-ვერსიას“ უყურებს რეგიონში მცხოვრები 353 746 ადამიანი. მომზადდა 3 დოკუმენტური ფილმი: ნოდარ ცინცაძე - ,,მოშინაურებული მზე“, გურამ ლორთქიფანიძე - ,,გადარჩენილი სახელი“, სერგი ჯიქია- ,,ცხოვრება და მოღვაწეობა“.

უნივერსიტეტის კანცელარიას შემუშავებული აქვს და მუშაობს სტრატეგიის მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია კანცელარიისა და საქმისწარმოების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე. კერძოდ, კანცელარიის მიერ 2018 წელს გაწეულ იქნა შემდეგი მოცულობის სამუშაო: 2018 წელს უნივერსიტეტის კანცელარიაში დარეგისტრირდა **77 274** კორესპონდენცია. კონკრეტულად: შემოსული

კორესპონდენცია -**25 254.** მათ შორის: შიდა კორესპონდენცია - **17 273**, გასული კორესპონდენცია - **14 371.** ყველა წერილზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადაში. გამოიცა **7 597** ბრძანება, გაფორმდა **12 779** ხელშეკრულება (მემორანდუმი), სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა **26 516** კორესპონდენცია.

2017 წლის დოკუმენტბრუნვის მონაცემებთან შედარებისათვის, წარმოდგენილია ბოლო ორი წლის განმავლობაში თსუ კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემები (2017-2018 წწ).

ბოლო ორი წლის განმავლობაში თსუ კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემები (2017-2018 წწ)

	შემოსული კორესპონდენცია	**ბრძანებები**	**ხელშეკრულებები**	გასული კორესპოდენცია
2018 წელი	**77 274**	**7 597**	**12 779**	**26 516**
2017 წელი	**75 857**	**7 586**	**8 574**	**19 460**

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დინამიკის მიხედვით, ზოგადად, გამოკვეთილია შემდეგი ტენდენცია. 2018 წელს შემოსული კორესპონდენციის, ხელშეკრულებებისა და გასული კორესპონდენციის რიცხვი გაიზარდა 2017 წელთან შედარებით, ხოლო გამოცემული ბრძანებების რიცხვი ინარჩუნებს სტაბილურობას.

მიუხედავად დოკუმენტბრუნვის მზარდი დინამიკისა, თსუ ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვა და მათზე რეაგირება, ისევე, როგორც წინა წლებში, ხდება ოპერატიულად. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის (საშუალოდ) 30% სრულდება დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 50% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში სრულდება მუშაობა და კონტროლიდან იხსნება შემოსული კორესპონდენციის (საშუალოდ) 80%, 15-დან 30 დღეში იხსნება კორესპონდენციის (საშუალოდ) 15%, კორესპონდენციის (საშუალოდ) 5% იხსნება კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განპირობებულია, ტრადიციისამებრ, ძირითადად, ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერებით რეგულირებად საკითხებთან.

წლების მიხედვით სტატისტიკის შედარება ცხადყოფს, რომ შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა მერყეობს, საშუალოდ, 74 000 – დან 78 000 - მდე, ხელშეკრულებების - 8 000–დან 13 000-მდე, ხოლო გასული კორესპოდენციის რაოდენობა - 19 000-დან - 27 000-მდე. ბრძანებების რაოდენობა, საშუალოდ, 7 000-დან - 8 000-მდე.

გასული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდა, ძირითადად, უკავშირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან და, ასევე, სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო ცენტრებიდან თუ უნივერსიტეტებიდან შემოსულ მოთხოვნებს დოკუმენტების გადამოწმების თაობაზე, დიპლომების ავთენტურობის დადგენაზე, სტუდენტთა მიერ უცხოეთში მოპოვებული კრედიტების აღიარების, უნივერსიტეტში სწავლის, დიპლომის და დიპლომის დანართების გაცემის ფაქტის დადასტურებაზე, საარქივო მასალების მოძიება-მიწოდებაზე და სხვ.

შემოსული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდის მიუხედავად, დოკუმენტბრუნვის შეუფერხებელ მოძრაობას, ზოგადად, განაპირობებს კანცელარიისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კოორდინაცია და მუშაობის სწორი მენეჯმენტი. კერძოდ, სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სემესტრული და შუალედური გამოცდების რეგულაციის პროცესებთან, მიიღება და პასუხი გაეცემა დროულად. ამ ტიპის კორესპონდენციაზე, უმეტესწილად, პასუხის გაცემას აწარმოებს საგამოცდო ცენტრი ელექტრონულად SMS.TSU.GE –ის მეშვეობით. აღნიშნული საშუალებას იძლევა უმოკლესი დროის განმავლობაში მიიღოს სტუდენტმა სასურველი ინფორმაცია და პასუხი განცხადებაზე.

ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა, ძირითადად, უკავშირდება მოქმედი ხელშეკრულებების ვადის შესაბამისი ბრძანებით გაგრძელების დანერგილ პრაქტიკას. დოკუმენტბრუნვის მეტი ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2017 წლის 01 იანვრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიან პროგრამაში (სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა), რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული, ხოლო უნივერსიტეტი დააკავშირა სახელმწიფო სტრუქტურების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საერთო დოკუმენტბრუნვის ქსელთან. აღნიშნულ სისტემასთან ჩასართავად უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ ჩატარდა რიგი ღონისძიებები: შესწავლილ იქნა და აღიწერა თსუ სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული პროცესები, მისგან გამომდინარე ფუნქციური და არაფუნქციური მოთხოვნები. კლასიფიცირებულ იქნა უნივერსიტეტის სივრცეში მოძრავი დოკუმენტის ტიპები, დოკუმენტის ტიპის მიხედვით შემუშავდა მათი მოძრაობის მარშრუტები, განისაზღვრა შემსრულებლები და გაიმიჯნა უფლებამოსილებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეულმა დეპარტამენტმა წარმოადგინა სტრუქტურის ფარგლებში დოკუმენტების მოძრაობის სქემა, რომელმაც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპატრამენტს საშუალება მისცა მოეხდინა პროცესის დეტალიზაცია, დავალების მონახაზის შეთანხმების შემდეგ ტექნიკური სამუშაოს შესრულება, თითოეული მონაცემისა და ფუნქციის სიღრმისეული ჩაშლა.

2018 წელს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამის გარკვეული მახასიათებლები კიდევ უფრო დაიხვეწა. კანცელარიის მიერ აღრიცხული 2018 წლის დოკუმენტბრუნვის მზარდი სტატისტიკა თვალსაჩინოდ მეტყველებს აღნიშნული პროდუქტის მუშაობის ეფექტიანობაზე. დღეისათვის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა არა მხოლოდ თსუ-ს ჩართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიან პროგრამაში, არამედ, ისიც, რომ ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონული მართვა და არსებული ელექტრონული მართვის სეგმენტები (საფინანსო, სასწავლო, საგამოცდო, სამეცნიერო და სხვა) გაერთიანებულია. ხაზგასასმელია, რომ eDocument - ის სისტემაში ჩართვით მნიშვნელოვნად გაიზარდა დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ კორესპონდენცია კონკრეტული რეზოლუციის მიხედვით ერთდროულად განსახილველად გადაეცემა რამდენიმე სამსახურს.

დოკუმენტბრუნვის სტატისტიკა, გარკვეულწილად, წარმოაჩენს eDocument-ის პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობას და უპირატესობას საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით. თსუ-ს კანცელარიაში 2018 წლის დოკუმენტბრუნვის ანალიზი ცხადყოფს, რომ ელექტრონული საქმისწარმოება, რომელიც ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების

თავსებადობას და ეს ძალზე კომფორტული სერვისია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ eDocument პროგრამული პროდუქტის იმპლემენტაციის შედეგების გაანალიზებისას, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც აქტუალური იყო 2018 წელსაც და, რომელთა მოგვარებაც სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი: **ა)** უპირველესად, პრობლემურად რჩება დოკუმენტბრუნვის ფილტრაციის სამთვიანი პერიოდი, რასაც აკლია მოქნილობა კონკრეტული დოკუმენტაციის ოპერატიული ძებნის საჭიროებისას. **ბ)** eDocument პროგრამული პროდუქტი არ იძლევა ე.წ. „კონტროლზე“ აყვანილი დოკუმენტაციის ძებნისა და შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობას. **გ)** სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზების გასწორება შესაძლებელია მხოლოდ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრირებით. **დ)** ჯერ კიდევ შეზღუდულია გარკვეული ტიპისა და ფორმატის დოკუმენტებთან მუშაობა: ტექსტები, გამოსახულებები, აუდიო-ვიდეო ფაილები, პროექტირების სისტემის დოკუმენტები, არქივები, აპლიკაციები და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული სისუსტეებისა, მთლიანობაში eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით აშკარაა და ამ კონტექსტში საყურადღებოა კანცელარიაში 2018 წლის დოკუმენტბრუნვის ანალიზი, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, რაც, აგრეთვე, ადასტურებს წინა წლების სტატისტიკის შენარჩუნების ტენდენციას. ფაქტობრივად, შემოსული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების, შიდა კორესპონდენციის, გასული კორესპოდენციისა და ბრძანებების საშუალო სტატისტიკურ მონაცემებს შორის სტაბილურად მერყევი ამპლიტუდა შენარჩუნებულია, თუმცა eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობა და უპირატესობა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების თვალსაზრისით, თვალსაჩინოა, პირველყოვლისა, უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობის, დამუშავების, რეაგირებისა და კონტროლის მექანიზმების გამარტივებისა და ადმინისტრირების კუთხით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 01 იანვრიდან eDocument პროგრამული პროდუქტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტში ბრძანებების ადმინისტრირება, რაც, ასევე, ეფექტიანი იქნება დროისა და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის თვალსაზრისით. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციასთან („უნივერსიტეტმა განახორციელოს მისი გეგმა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პროცესების მოდერნიზების თაობაზე. მოდერნიზაციის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების შემცირებით...“) კავშირში, სახეზეა eDocument პროგრამული პროდუქტის ეფექტიანობა და უპირატესობა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემური გაუმჯობესების კუთხით, რომელიც კიდევ უფრო დაიხვეწება და მაღალეფექტური გახდება ზემოთ აღნიშნული სუსტი მხარეების დაძლევის შედეგად.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

იურიდიული დეპარტამენტი, მისი ფუნქციების სპეციფიკის გათვალისწინებით, ძირითადად ასრულებს მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების ფარგლებში ინიცირებული საქმიანობის სამართლებრივ მხარდაჭერას. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული და 2018 წელს შესრულებული საქმიანობა მეტწილად განხორციელდა ზემოხსენებულიდან გამომდინარე.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრა სტუდენტთა უფლება-მოვალეობები და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით დადგენილ ნორმებთან. აღნიშნული ხელშეკრულებების ფორმა შეთანხმდა და სამართლებრივი ექსპერტიზა უზრუნველყოფილ იქნა იურიდიული დეპარტამენტის მიერ. შესაბამისად, მოდიფიცირდა საუნივერსიტეტო რეგულაციები (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების სახით).

დეპარტამენტის მიერ მომზადდა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 01 ოქტომბრის N251/02-01 ბრძანების პროექტი, რომლის საფუძველზე განხორციელდა უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია. ასევე, ამ პროცესის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით ცვლილებები იქნა შეტანილი მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დანიშვნის ბრძანებებში.

2018 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და განხილულ იქნა უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და მეწარმეობის კავშირის გაძლიერების, უნივერსიტეტსა და სხვა დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებების პროექტები, რომლებიც შეეხო სხვადასხვა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, არაკომერციულ და კომერციულ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობას, ასევე, სტუდენტთა პრაქტიკას და დასაქმებას. სულ მომზადდა 54 დოკუმენტი. 2018 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და განხილულ იქნა სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის (მათ შორის სამეცნიერო ინტელექტუალური მომსახურების) 153 ხელშეკრულება. აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი, რომლის შემუშავებაშიც იურიდიულმა დეპარტამენტმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა. 2018 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა მოიპოვა 100-ზე მეტი პროექტი, რომელთა ხელშეკრულებების სამართლებრივი ექპერტიზა განახორციელა იურიდიულმა დეპარტამენტმა. ამასთან, სამართლებრივი დახმარება გაეწია უნივერსიტეტში მიმდინარე (განხორციელებად) 193 ადგილობრივ და 36 საერთაშორისო საგრანტო პროექტს.

2018 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების (ორგანოების) მიერ გამოიცა 7 597 ბრძანება, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებულ იქნა იურიდიული დეპარტამენტის მიერ,ამასთან, უნივერსიტეტსა და სხვა დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებების პროექტები, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, არაკომერციულ და კომერციულ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობას, ასევე, სტუდენტთა პრაქტიკას, დასაქმებას,

სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციას. სულ 207-მა ხელშეკრულებამ გაიარა იურიდიული ექსპერტიზა. გარდა აღნიშნულისა, ანალოგიური პროცედურები გაიარა იურიდიულ დეპარტამენტში ასობით შრომითმა, შესყიდვებისა და სხვა ხასიათის ხელშეკრულებებმა და მათში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

2018 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები შეადგენდა 36-ს. აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 15, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 1, შრომითი დავა - 2, პლაგიატთან დაკავშირებით -1, სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებზე - 5, დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით - 4, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავა - 1, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავა - 1, სამეცნიერო გრანტთან დაკავშირებული დავა - 2, დოკუმენტის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავა - 1, ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა - 1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დავა - 1.

2018 წელს დამთავრდა 3 საქმე. სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა-1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული დავა-1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დავა - 1. რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წელს არსებულ დავებს, ექვსი დავიდან ორი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სამი დაკმაყოფილდა მომჩივანი მხარის სასარგებლოდ და ერთი არ დაკმაყოფილდა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებით ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა. გასულ წელს სამსახურს შესასწავლად მიღებული აქვს 872 დავალება/კორესპოდენცია, მათ შორის უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეზოლუციით 181 და 691 მონიტორინგის მიმართულებით. შესწავლის შედეგად გაცემულ იქნა დასკვნები და რეკომენდაციები, მათ შორის შემდგომი რეაგირებისათვის მასალები გადაეგზავნა თსუ–ის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას (7 შემთხვევაში).

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა უნივერსიტეტში შემოსულ წერილებზე, საჩივრებსა და სხვა დავალებებზე შესაბამისი რეაგირება და შესწავლა. კერძოდ, შესწავლილ იქნა: უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 11 ოქტომბრის N200/01-01 ბრძანებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარის განცხადებით წარმოდგენილი დასკვნა; უნივერსიტეტის ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას; სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ დასმული საკითხები, რომლებიც შეეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თბილისში ჩარიცხულ სტუდენტთა ქ. ქუთაისის სასწავლო ცენტრში სწავლების საკითხს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მისი არყოფნის გამო სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე გამოუცხადებლობას და ნაშრომის ინდივიდუალურად დაცვისათვის თარიღის დანიშვნის საკითხს; უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის წერილი, რომელიც შეეხებოდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას; უნივერსიტეტის ენების ცენტრის მასწავლებლის განცხადება ფრანგული ენის საათების განაწილების შესახებ. (-) მომზადდა შესაბამისი მოხსენებითი ბარათი; უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიის ლაბორანტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა მასსა და

ლაბორატორიის გამგეს შორის მომხდარ ინციდენტს; უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების განცხადება, რომლითაც განმცხადებლები ითხოვდნენ მათთვის ჩამორთმეულ ოთახში განთავსებული სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამების გახორციელებისათვის საჭირო აპარატურის, ბიბლიოთეკის, არქივისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ადგილმდებარეობის დადგენას და მათზე წვდომას.

სამსახურმა შეისწავლა თსუ–ს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან ლითონის კონსტუქციების გატანის ფაქტები და მასალები რეაგირებისათვის გადაეცა დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას; გარდა ამისა, შესწავლილი დოკუმენტების შედეგად გამოვლენილ იქნა გარკვეულ სამუშაოთა მოცულობებში შეუსაბამობა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სტადიონის შემოზღუდვის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასთან; შეისწავლა პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, ტექნიკური ზედამხედველობის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის საბუთების მიღების ვადების გაგრძელების შესახებ.

სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ე.წ. კრიპტოვალუტის გამომუშავებელი აპარატის არსებობისა და მისი შესაძლო გამოყენების ფაქტი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლის ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების შემდგომ, მისი სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიოდ, საშვებულებო დღეებში ჩათვლისა და დარჩენილი შვებულების დღეებით სარგებლობის საკითხი.

შესწავლილ იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსის მხრიდან მის მიმართ უხეშ დამოკიდებულებას. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წერილი, რომელიც შეეხებოდა სსიპ მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სლავისტიკის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტს; უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ყოფილი სტუდენტის განცხადება, მისი შიდა მობილობით უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესახებ; დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წერილი, რომელიც შეეხებოდა მეორე კორპუსის შესასვლელში დამონტაჟებული ვიდეოკამერის გათიშვისა და სამუშაო პროცესში ხელისშემშლელი გარემოებების შესწავლის საკითხს; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტების, მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრის (ინტერდისციპლინური) და რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრის (ინტერდისციპლინური) პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის მონაწილის, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგის, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტების ინტერდისციპლინური საკონკურსო კომისიის მიერ შესაძლო დაშვებულ დარღვევებს. შესწავლილ იქნა თსუ–ის ენების შემსწავლელი ცენტრის ფრანგული ენის მასწავლებლის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების პროფესორების მხრიდან მისი შესაძლო დისკრედიტაციის საკითხს.

გარდა ამისა, სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების აღრიცხვის მდგომარეობა. შემოწმების შედეგების ამსახველი მოხსენებითი ბარათი შესაბამისი რეკომენდაციებით გადაეგზავნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ასევე, სამუშაო გეგმისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, შეისწავლა 2017-2018 წლებში ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვის მდგომარეობის, დისერტაციების დაცვის სამართლებრივ რეგულაციებთან შესაბამისობის, აფილირებული აკადემიური პერსონალის საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების საკითხი. მომზადდა შედეგების ამსახველი მოხსენებითი ბარათი.

წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სტრუქტურულ ერთეულებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ. სამსახურმა, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული თსუ–ის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით, სტრუქტურული ერთეულებიდან გამოთხოვილი ინფორმაციების საფუძვერლზე სათანადო განმარტებები მიაწოდა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა უნივერსიტეტის გარკვეული თანამშრომლების მხრიდან სხვისი კუთვნილი სარეგისტრაციო ელექტრონული ბარათების (სამსახურში გამოცხადება, წასვლის) გატარებისა და არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტები, რაზედაც შესაბამისი მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა უნივერსიტეტის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას. შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლები, გარდა დებულებით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური მონიტორინგისა, ახორციელებდნენ არასამუშაო საათებში და დასვენების დღეებში (შაბათი) თსუ კორპუსების მიხედვით ლექცია–სემინარების ჩატარების მონიტორინგს.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, თსუ მაღლივი კორპუსის სახანძრო წყალგაყვანილობის აღსადგენად სამუშაოებისთვის პროექტის შესადგენად შესყიდულ იქნა მომსახურეობა; დაიმუხტა ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები; დაცვის თანამშრომლებისთვის სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარდა ტრეინინგები; დამზადდა ახალი სტანდარტის საევაკუაციო გეგმები; თანამშრომლებისთვის შესყიდულ იქნა ახალი ხელის რადიოსადგურები; თსუ მეხუთე, მეთერთმეტე კორპუსებსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან დამონტაჟდა სდექ ბარიერები, მეხუთე და მეთერთმეტე კორპუსების შიდა ეზოებში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები უნივერსიტეტის თანამშრომლების ავტომანქანებისთვის პარკინგის მოსაწყობად; მეთერთმეტე კორპუსში 405-ე ოთახში დამონტაჟდა სიგნალიზაცია; დაცვის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული ერთიანი ცენტრალიზებული სასიგნალიზაციო სისტემის ფუნქციონირებისთვის შეძენილ იქნა სიხშირეები; სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან და სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთან შესაბამისი მომსახურებების მისაღებად გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები; დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისათვის თსუ-ს ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა 4 ცალი ხელის მეტალოდეტექტორი. სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ იქნა უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებების უსაფრთხოება.

კულტურისა და სპორტის სფერო

2018 წელი უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისათვის ერთ-ერთი აქტიური და მნიშვნელოვანი წელი იყო. მთელი წლის განმავლობაში ჩატარდა უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება, სადაც უნივერსიტეტის სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ანსამბლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. დეპარტამენტი მუშაობდა 3 მიმართულებით, კერძოდ : ა) სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ანსამბლების, სპორტული ნაკრები გუნდების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი სექციების გამართულად მუშაობა და მათში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის მისაღები გარემოს შექმნა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 11 სპორტული და 10 კულტურულ -შემოქმედებითი სექცია. გასულ წელს უნივერსიტეტის სპორტულ და კულტურულ სექციებში ჩართული იყო 4480 სტუდენტი, რაც 2017 წელთან შედარებით 350 სტუდენტით მეტია. ბ) სტუდენტებისათვის თავისუფალი სპორტული და შემოქმედებითი სივრცეების მოწყობა, მათი გამართულად ფუნქციონირება და ღონისძიების გამართვა. გასულ წელს უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა პირველი კორპუსის ღია საფეხბურთო მოედანი, მე-10 კორპუსის საკალათბურთო და ფრენბურთის დარბაზი, მეორე კორპუსის საკალათბურთო დარბაზი, მეორე კორპუსის სააქტო დარბაზი და მერვე კორპუსის სააქტო დარბაზი. 2018 წელს განხორციელდა აღნიშნული სივრცეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სადაც ყოველდღიურად სტუდენტებს შეეძლოთ დაკავებულიყვნენ მათთვის სასურველი აქტივობებით. უნივერსიტეტის სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით სივრცეებში გაიმართა 148 ღონისძიება, 2017 წელს კი 135 ღონისძიება. გ) სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სპორტული ღონისძიებების გამართვა. ამ მიმართულებით კულტურისა და სპორტის დეპარტრამენტმა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად გასულ წელს გამართა ჩემპიონატი 17 სპორტულ სახეობაში და განხორციელდა 28 კულტურულ-შემოქმედებითი პროექტი. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენდა 15 სპორტულ და 25 კულტურულ-შემოქმედებით პროექტს.

2018 წელს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობით მთელი რიგი წარმატებები იქნა მიღწეული სპორტულ შეჯიბრებებში. კერძოდ, სტუდენტური ლიგა ფუტსალში სპორტსმენებმა დაიკავეს პირველი ადგილი. სტუდენტური ლიგა კალათბურთში - მეხუთე ადგილი; ქუჩის კალათბურთში - მეოთხე ადგილი. სტუდენტური ჩემპიონატი ქვიშის სპორტულ თამაშებში -მეორე გუნდური ადგილი; სტუდენტური ლიგა ფრენბურთში (ვაჟ და ქალ სპორტსმენთა შორის) - მეორე ადგილი გოგნათა შორის, მესამე ადგილი ვაჟთა შორის. სსსფ თასის გათამაშება ფუტსალში - პირველი ადგილი. ზაფხულის „უნივერსიადა 2018“ 17 სპორტულ დისციპლინაში - პირველი გუნდური ადგილი; ზამთრის უნივერსიადა - მესამე ადგილი (გოგონათა შორის). საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში „ა“ ლიგა - პირველი ადგილი და გუნდმა მოიპოვა უფლება იასპარეზოს ქვეყნის უმაღლეს ჩემპიონატში ,,სუპერ ლიგა''.

მოეწყო ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 70-მა სტუდენტმა, ხოლო მარათონში 150-მა სტუდენტმა.

ნაყოფიერი და წარმატებული იყო 2018 წელი კულტურული საქმიანობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, თსუ ანსამბლმა ,,გორდელამ'' გამართა 5 სოლო კონცერტი და 2 საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა; გოგონათა ფოლკლორულმა სიმღერის ანსამბლმა მიიღო

მონაწილეობა 2 მუსიკალურ პროექტში; სტუდენტურმა თეატრალურმა დასმა „სხვენმა“ გამართა 5 თეატრალური წარმოდგენა და შექმნა 2 ახალი თეატრალური დადგმა; ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 12 მუსიკალურ პროექტში; ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 4 ქორეოგრაფიულ პროექტში და 3 საერთაშორისო ფესტივალში.

თსუ „კაპელა“ ანსამბლში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 50-მდე, ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 7 მუსიკალურ პროექტში და ერთ საერთაშორისო ფესტივალზე. „თანამედროვე ცეკვის“ და „ჰიპ-ჰოპის“ სექციაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 70 სტუდენტამდე და ა.შ.

მან-სან-კან-ის მიერ უნივერსიტეტში გაიმართა 2 შიდა ჩემპიონატი და პროექტში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სტუდენტმა.

თსუ - არტის ბენდმა მონაწილეობა მიიღო 5 მუსიკალურ პროექტში.